„მე შენ მიყვარდი, შენ მნამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

# ნიკოლაძის გზით



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი №6 (283) 21 ივნისი, პარასკევი, 2019 წელი; ფასი 1 ლ.

ფოთის პორტის მშენებლობა სხვას ხელს არ უშლის!



**პარლამენტარი ირაკლი ხახუბია** – ანაკლიის განვითარების კონსორციუმი ინვესტიციების მოზიდვის და ოპერირების ექსკლუზივს ითხოვდა, თუმცა, სახელმწიფოსთან ამ ტიპის შეთანხმება არა აქვთ

მე-2 გვ




**ფრთხილად ქართველებო! – რუსებს საქართველოს არევა უნდათ, ქვეყანას ისედაც ბევრი სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა აქვს გადასაწყვეტი**

თავისუფლების და დამოუკიდებლობის 30 წელი

პოლიტიკური დაპირისპირების ეპოქა სანამდე მიგვიყვანს?

30 წელი დემოკრატიის მეძებართან, სულ მეუდომებზე ვიარით?

მე-2 გვ



26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა - ფოთის საპატიო მოქალაქის წოდება შვიდ ადამიანს მიენიჭა

მე-3 გვ

## ფართოვდება საქართველოს საზღვაო კარიბჭე



ფოთში ახალი ნავსადგური აშენდება

მე-2 გვ



**ღვთითკურთხეული და დალოცვილი ნადარაიების საგვარეულო შეკრება ხობის მონასტერში**

გვარის კურთხევის დღე -31 მაისი

მე-4 გვ

## 1 ივნისს ბავშვთა დაცვის დღე აღინიშნა



ფოთში პირველად გაკეთდა კაუჩუკის საფარის მქონე ბავშვთა გასართობი მოედანი და შუქურის ფორმის ქუჩის ბიბლიოთეკა

მე-7 გვ

## ნუგზარ ნაჭყებია-70



სიმღერაა მთელი ჩემი ცხოვრება

კარგი მომღერალი, თამადა ერთგული და უღალატო კაცი

მე-5 გვ

**ნუ მივჩქმალავთ ერის ნამდვილ ისტორიას**



ლეონტი მროველი

ქართველი ეპისკოპოსი თუ სომეხი მემატიანე

მე-6 გვ

**იუბილარი**



ჯემალ კახიანი-80

ვალმოხდილი ღვთისა და ერის წინაშე

მე-5 გვ

## ნაცარმიყრილი ისტორია




მართლდება თუ არა მე-19 და მე-20 საუკუნის მეცნიერთა ვარაუდები კოლხურ კულტურასთან დაკავშირებით

მე-5 გვ



**„ფაზისის" აკადემიის წლის ბოლო სხდომა –**

ტრიზნის დღესასწაული

მე-4 გვ



ფოთში ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურმა წარმომადგენლები წარადგინა

მე-3 გვ

**შეხვედრა იაპონიის საელჩოს საგრანტო პროექტთან დაკავშირებით**



მე-3 გვ



**ზღვის სანაპიროზე სამაშველო ბრიგა-დებმა პატრულირება დაიწყეს**

მე-3 გვ

### ფრთხილად ქართველებო! - რუსებს საქართველოს არევა უნდათ,ქვეყანას ისედაც ბევრი სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა აქვს გადასაწყვეტი

# თავისუფლების და დამოუკიდებლობის 30 წელი

## პოლიტიკური დაპირისპირების ეპოპეა სანამდე მიგვიყვნს?

## 30 წელი დემოკრატიის მეხებთან, სულ შეცდომებზე ვიაროთ?

პარადოქსია, როცა არ ვიყავით დამოუკიდებელი და რუსეთის მთავრობა გვმართავდა, ამდენი არ გვიბრძოლია ერთმანეთის წინააღმდეგ, ამდენი არ გვილანძღია ერთმანეთი. ვერ მოვახერხეთ გაერთიანება ქვეყნის გადარჩენისათვის, ყველა თავისკენ ექაჩებოდა ქვეყნის ქონებასა და ბიუჯეტს. არადა, დამოუკიდებლობის წლებში ყველას მიზანი ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე უნდა ყოფილიყო. მაშინ არ დავკარგავდით ტერიტორიების ლამის ნახევარს და მოსახლეობის უდიდესი ნაწილიც არ გაიქცეოდა საზღვარგარეთ. გეოსტრატეგიული მდგომარეობის გამო საქართველოს ცალკე რუსი ექაჩება, ცალკე-ამერიკა, ამ უკანასკნელმა შევარდნაძის დროიდან მოყოლებული მილიარდები დაახარჯა ქვეყანას, თუმცა, ისე გაინაწილეს, ხალხს არაფერი შეჰმატებია. 30 წელი ნატო-ევროკავშირის ზახილით სპეკულირებენ პარტიები, ხალხის გაჭირვებით მანიპულირებენ, იცვლება ხელისუფლებები, ხალხის მდგომარეობა უცვლელია. 30 წლის მერეც გზაჯვარედინზე ვდგევართ და არ ვიცით საით წავიდეთ. რუსეთი არ იშლის მუქარას, როცა ამერიკისკენ ვიხედებით. თუმც მას არააქვს ძალა ებრძოლოს დასავლეთს, მაგრამ საქართველოს ასარევად ძალღონეს არ იშურებს და ყველაფერს ისევ ქართველის ხელით აკეთებს. ამერიკა კი თავის ,,სუკინშვილებს" არ ეშვება, რამეთუ მის საქმეს ფრიადზე აკეთებენ. ქვეყანა კი დააქციეს და 9 წლიანი რეჟიმიც ამის მაგალითია. ახლაც ხელისუფლებისაკენ ისწრაფვიან და ეს ყველაფერი ,,ოცნების" კოჰაბიტაციის ბრალია, რისთვისაც ერთდროს პასუხი აუცილებლად მოეთხოვება. იმდენი კი იცის ქართველმა კაცმა, რომ მშიერ რუსს მაძღარი ამერიკელი, ანუ ცივილიზებული ქვეყანა რომ სჯობია, მაგრამ სხვისი მოიმედობა დამღუპველია. 200 პარტია რაში სჭირდება ქვეყანას? უკვე ,,ნაციონალებისგანაც" სამი პარტია ჩამოყალიბდა და, ალბათ, კიდევ დაემატება. დასავლეთი და ნატო რომ კარგია, ამისთვის შენ არ უნდა იყო ცუდი და ნიღაბს ამოფარებული. ნატო დაიცავს საქართველოს, მაგრამ ამათ როგორ დაიცვეს საკუთარი ხალხი 30 წლის განმავლობაში? რა გააკეთეს იმისათვის რომ ასიათასობით ქართველს არ დაეტოვებინა სამშობლო? ნატო დაიცავს ამ დანგრეულ ოჯახებს? თუ თქვენს კეთილდღეობას დაიცავს, რაც არცერთ ხელისუფლებას არ დაკლებია, ომი იყო თუ მშვიდობა. იქნებ დადგა ჟამი ,,ქვათაშეგროვებისა". ნატო და ამერიკა არ ყოლია აღმაშენებელს, მაგრამ იყო ერთიანი სახელმწიფო, ქრისტიანული რწმენით ამაღლებული და გაერთიანებული. დღეს კიდევ ღირსებადაკარგული ადამიანები ღირსების აღლუმეებს მართავენ, თითქოს ესესაა ბრძოლის ველიდან დაბრუნდნენ, ამ გაქალებული კაცების იმედზე დარჩა საქართველო? ამათი მიზანი ღვთის უარყოფა - ინსტიქტებამდე დაცემაა. ეს რა შავი ჭირი შეეყარა ქვეყანას? მეორე უკიდურესობა ისაა, რომ კონტრაქციის მონაწილეები ფიზიკურად უსწორდებიან ამ გაუბედურებულ ადამიანებს, განა ეს არის გამოსავალი? შეიძლება ჩიტებს ზარბაზნები დაუშინო? გამოხატვის თავისუფლებაო გაიძახიან, მერედა შე დალოცვილო კარგი რამე გამოხატე და იყვირე, რაღა ამ ღვთისგან გმობილ უბედურებას გადაეკიდე. თუმცა, ამბობენ ამის გამო ფინანსდებიან და მათი რიცხვიც მატულობს, ლამის მთელი საქართველო ჩაითრიოს.

დაპირისპირება პოლიტიკაში, ეკლესიაში, ყველგან და ყველაფერში. ეს მაშინ როცა ხალხს უამრავი პრობლემა აწუხებს და ნეტავ იმის მოსაგვარებლად ვიბრძოდეთ ასეთი თავგამოდებით, რომ არ შიოდეს პატარებს, ზამთარში გათბობისთვის მაინც ყოფნიდეთ პენსია მოხუცებს. ამდენი ცოდვა და ბოროტება დაღუპავს ქვეყანას, იგი კარგა ხანია მყარად დგას ჩვენსა და უფალს შორის და წინსვლის საშუალებას არ გვაძლევს. სამწუხაროდ, ეკლესიის მესვეურებიც სცოდავენ, უფრო მიწიერი კომფორტით არიან გატაცეული. როცა ადამიანებს შიმშილისგან სული ძვრებათ, სულიერებაზე კი არ უნდა ელაპარაკო, უნდა დააპურო და გადაარჩინო. ასე, რომ ქვეყნის მტრებს სულ გარეთ ნუ ვეძებთ, ქუჩიდან ურა-ვაშას ძახილით მოსულები უნდა მოსცილდეს ქვეყანას, უნდა მოვიდნენ ეროვნული ადამიანები-ღვთის კაცები, საქმის მცოდნე, განათლებული, პროფესიონალი და ჰუმანისტი ადამინები. გვარი არ დარჩა მისი სახელობის პარტია რომ არ შეიქმნა. ამათ ეს სიმღერის პარტია ხომ არ გონიათ? სუფთა და წმინდა უნდა იყო მთის წყაროსავით და არა უბედურების მდინარე. ათობით გვარი წამოტივტივდა მეხსიერებაში, ქონების დატაცების მეტი არაფერი უკეთებიათ და ბედნიერად ცხოვრობენ საზღვარგარეთ. სამშობლო იქაა, სადაც ფულია. პარადოქსია, ისიც, რომ ხელისუფლებაში ირჩევ და რაც არ უნდა უბედურება დაატრიალოს 4-5 წელი ძვრას ვერ უშვები. დღემდე ვერ მივიღეთ ასეთების გაწვევის რეალური მექანიზმი, ამიტომ გახდა პარტია ვიგინდარების თავშესაფარი. დღესაც რომ რევოლუციებით იმუქრებიან და დაავიწყდათ რა უბედურება მოუტანეს ქვეყანას.

რუსი რომ აგრესორია ყველამ ვიცით, მაგრამ ნახევარი ქვეყანა რომ ჩააბარეს იმას რა ჰქვია? ჭკუა ისაა რომ მტერი გამოიყენო, აქეთ ევროპასაც გავუღეთ კარი მაგარმ, ჯერ-ჯერობით ცუდის მეტი არაფერი მოსჩანს ამ გადასახედიდან. არადა, ევროპა აყვავებულია, ნატოსთან მიერთების იდეაც პროგრესულია, მაგრამ ამით სპეკულირება სიკეთეს არ მოგვიტანს. საქართველო უსაფრთხო ქვეყანაა, ამის ძახილით კიდევ უფრო ვაზარალეთ უსამშობლოდ დარჩენილი ადამიანები, საზღვარგარეთ ლუკმა პურისთვის გაქცეულები, უკან მოაბრუნეს ერთი ჩემოდნით. იქნებ ერთი წუთითმაინც წარმოიდგინოთ თავი მათ ადგილას. ,,როცა ოჯახში არ გაქვს სამშობლო და სამშობლოში არ გაქვს ოჯახი". ძნელია მათთან ევროპულ ორიენტაციაზე საუბარი. დამოუკიდებლობა ერთიან ქვეყანაში მიიღწევა და არა პარტიებად დაქუცმაცებულ კონგლომერატში. ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება, ხალხის კეთილდღეობა, ესაა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, თორემ მშიერი კაცი ბიოლოგიურად და სულიერად დეგრადირდება. კაცს თავის ქვეყანაში უნდა დაედგომებოდეს. ,,ოცნების" უნიათობამ ,,ნაცები" ფეხზე დააყენა, განა ეს იყო ხალხის დაკვეთა? ,,რუსთავი-2" ლამის მხსნელად მოგვევლინოს,, ხალხს მისი იმედი აქვს, ტელესიუჟეტების შემდეგ ვიღაცას იჭერენ. ერთი რესპოდენტი იძახის-გაიგეს ,,რუსთავი -2 " მოდისო და წყალი გამოუშვესო, კომენტარი ზედმეტია. 9 წლიანი რეჟიმის დროს ნაკლები ფაქტები იყო კორუფციისა და უბედურების, მაგრამ კრინტი რომ არ დაუძრავთ? ხალხის გაჭირვების გამო არ სძინავთ თურმე! ისევ თავიანთ პარტიას და გუნდს ემსახურებიან. ასეთმა ფარსმა წალეკა ყველაფერი, ვითომ ტელევიზია, ვითომ პარტია, ვითომ ქვეყანა. ხალხი ახალი ძალის მოლოდინშია, მას სჭირდება პარტია კლასიკური გაგებით, ქვეყანაზე და ხალხზე მზრუნველი და არა ისეთი - გაჭირვებით რომ მანიპულირებს. არც ისეთი დემოკრატია გვინდა მერე რეჟიმად რომ იქცა, არც ,,ევროპული საქართველოს" შეძახილების გვჯერა, სიტყვის თავისუფლება ყველაფრის უფლებას არ ნიშნავს, როცა დედის გინება შეურაცყოფა არაა, ეს ხომ ბინძური სიტყვის თავისუფლებაა. ევროპულობას ამოფარებულო, ევროპის თუთიყუშებო, ერთი ლარი მაინც თუ გაგიღიათ მშიერი ბავშვების დასაპურებლად? საკაცობრიო იდეალებით რომ გვიჭედავთ ტვინს. რატომ ვერ ხედავთ რა მოიტანა 30 წლიანმა დემოკრატიის თამაშმა. 30 წელი სულ შეცდომებზე ვიარეთ, კიდევ 10 წელი დარჩა მოსეს გზა რომ გავიაროთ, მერე მოვა, ალბათ, ახალი თაობა, ახალი აზროვნებით, ახალი მენტალობით, და სულ სხვა რელსებზე გადაიყვანს ქვეყანას. სხვათაშორის, ევროპა და დემოკრატია ევროპამდე იყო ჩვენს ქვეყანაში, თუნდაც თამარ მეფის დროიდან. ვეფხისტყაოსანიც ამ მიწაზე დაიწერა-ახალი ბიბლია! ცუდის და კარგის გარჩევა ამ თაობას არ შეეშლება და ყველას პასუხი მოეთხოვება - არჩეულსაც და ამომრჩეველსაც. 30 წელი დემოკრატია, თავისუფლება! - კინოკადრებივით გაიელვებს ამათი სახეები, ყალბი და ცბიერი, უნიჭო, მაგრამ საკუთარი ბედის მჭედელი. ჩვენ კიდევ ვინ იცის როდემდე გვექნება ,,ვაი ჭკვიანთა უჭკუოთა გამო".

p.s. გაზეთი მზად იყო დასაბეჭდად, როცა 20 ივნისს, გვიან ღამით, სერგეი გავრილოვის თავგასულობას ხალხის დიდი პროტესტი მოჰყვა.

რუსებთან დიალოგი არ ნიშნავს მათ თავზე დასმას, ქართველობა ამას არ დაუშვებს, ეს გაკვეთილი უნდა იყოს მტერ-მოყვარისათვის, მათ შორის ,,ოცნებისთვისაც",რომელიც შეცდომას შეცდომაზე უშვებს, მაგრამ ,,ნაცების" ვიწრო პარტიულ ინტერესებს ქვეყანა არ უნდა გადავაყოლოთ, მით უფრო მათ დიდი დანაშაული მიუძღვით ქართველი ხალხის წინაშე, რომელიც ისევ ხელისუფლებაში ამ პარტიის დაბრუნებას არ დაუშვებს.

ზ. აბრალავა

**ეკონომიკურ კრიზის ეშველება, სულიერების კრიზისი კი გარდაცვალების დასაწყისია**

---

## ფოთის პორტის მშენებლობა სხვას ხელს არ უშლის!

### პარლამენტარი ირაკლი ხახუბია – ანაკლიის განვითარების კონსორციუმი ინვესტიციების მოზიდვის და ოპერირების ექსკლუზივს ითხოვდა, თუმცა, სახელმწიფოსთან ამ ტიპის შეთანხმება არა აქვთ



ანაკლიის განვითარების კონსორციუმი ინვესტიციების მოზიდვის და ოპერირების ექსკლუზივს ითხოვდა, თუმცა სახელმწიფოსთან ამ ტიპის შეთანხმება არ აქვთ, – ამის შესახებ დეპუტატი ირაკლი ხახუბია „ფეისბუქის" გვერდზე წერს.

როგორც ირაკლი ხახუბია აცხადებს, მიუღებელია აჟიოტაჟი, რაც ფოთის ნავსადგურთან მიმართებაში ხელოვნურად ატყდა.

„როგორც ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი, მინდა გამოვეხმაურო ფოთში, ვითომდა პორტის მშენებლობის ნაბართვის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხს. როგორც ყველამ შევიტყვეთ, რაღაც ტიპის ტექნიკური ნებართვა გაცემულია ხარვეზებით. შესაბამისად, პასუხისმგებელი პირი გათავისუფლდა თანამდებობიდან და აღნიშნული დოკუმენტი გაუქმდა. მიუხედავად ამისა, ჩემთვის გაუგებარია რამ გამოიწვია ასეთი აჟიოტაჟი ფოთის პორტის განვითარებისა და ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან მიმართებაში. პირველ რიგში, ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ მთავრობა აკეთებს მაქსიმუმს, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ასაშენებლად, რაც რა თქმა უნდა, მისასალმებელია. ამ ფონზე, აბსოლუტურად მიუღებელია ის აჟიოტაჟი, რაც ფოთის ნავსადგურთან მიმართებაში ხელოვნურად ატყდა. ანაკლიის პორტის განვითარება არ უნდა ნიშნავდეს ფოთის პორტის განვითარებისთვის ხელოვნური ბარიერების შექმნას. ფოთში მცხოვრები ადამიანებისათვის, ისევე როგორც ზოგადად ჩვენი ქვეყნისათვის, ფოთის ნავსადგურის განვითარებაც უმნიშვნელოვანესია. არა მგონია ვინმეს შეეძლოს იმის ახსნა, თუ რა არის იმაში ცუდი, რომ ფოთში 250 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია შემოვიდეს. თუ მხოლოდ ანაკლიის განვითარების კონსორციუმს აქვს ინვესტიციების მოზიდვის და ოპერირების ექსკლუზივი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ისინი ამ ექსკლუზივს ითხოვდნენ, თუმცა სახელმწიფოსთან ამ ტიპის შეთანხმება არ აქვთ",– წერს ხახუბია.

---

## ფართოვდება საქართველოს საზღვაო კარიბჭე

## ფოთში ახალი ნავსადგური აშენდება

ფოთში ახალი საზღვაო ნავსადგურის მშენებლობა იწყება. ქალაქის მერიის ინფორმაციით, პროექტის პირველი ეტაპის სამუშაოების ღირებულება 250 მილიონი ამერიკული დოლარია. ახალი ნავსადგურის მშენებლობის სამუშაოები ევროპული ინვესტიციებით განხორციელდება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ნებართვით დამტკიცდა ფოთში საზღვაო ნავსადგურის ჩრდილოეთით ახალი ღრმაწყლოვანი მრავალფუნქციური ნავსადგურის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

მერიის ინფორმაციით, აშენდება 1640 გრძივი მეტრი სიგრძის ახალი დამცავი მოლი და 700 გრძივი მეტრი სიგრძის ღრმაწყლოვანი ნავმისადგომი. ახალი ღრმაწყლოვანი ნავსადგური შეძლებს არსებულ გამტარიანობასთან ერთად, უზრუნველყოს დამატებით 9 მილიონი ტონა ნაყარი/გენერალური ტვირთისა და 500 000 TEU-ს გადამუშავება წელიწადში.

როგორც მერიაში აცხადებენ, სიახლე მნიშვნელოვანია, როგორც ქალაქისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების, ასევე დასაქმების კუთხით.

„დღეს ჩვენი მთავარი საზრუნავია ხელი შევუწყოთ ახალი ნავსადგურის მშენებლობას, სწორად დავგეგმოთ ქალაქის სივრცითი განვითარების პრიორიტეტები, განსაკუთრებით



მნიშვნელოვანია სარკინიგზო და საავტომობილო ინფრასტრუქტურის სწრაფი განვითარება", – განაცხადა ფოთის მერმა, გოჩა კურდღელიამ.

# 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა - ფოთის საპატიო მოქალაქის წოდება შვიდ ადამიანს მიენიჭა



26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ფოთში საზეიმო ღონისძიებებით აღინიშნა.

ქალაქის მთავარ მოედანზე დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით მრავალფეროვანი პროგრამა იქნა წარმოდგენილი.

ღონისძიებები ბავშვებთან ერთად უფროსებისთვისაც საინტერესო იყო.

მთავარ მოედანზე გამოყვანილი იყო საბრძოლო ტექნიკა, რომელსაც უამრავი დამთვალიერებელი ყავდა. კულტურის და დასვენების პარკში გამოფენილი იყო ხალხური რეწვის ნიმუშები, ასევე ადგილობრივი მხატვრების, სტუდენტების და მოსწავლეების ნამუშევრები.

სპეციალურად მოწყობილ პავილიონებში ეწყობოდა ვიდეორგოლების ჩვენება. მოედანზე განთავსებული იყო სამახსოვრობი ფოტოების გადასაღები სტენდები.პარალელურ რეჟიმში იმართებოდა სპორტული ღონისძიებები.

26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში შვიდ ადამიანს მიენიჭა ფოთის საპატიო მოქალაქის წოდება. აი, ისინიც- 1. ღირსების ორდენის კავალერი, არჩილ ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო და ვოკალური განყოფილების პედაგოგი **ეთერ დანელია**.

2. აქტიური შრომითი და საზოგადოებრივ საქმიანობაში მიღწეული წარმატებებისათვის ღირსების ორდენის კავალერი **ბიდიკო კაკულია**.

3. ნავსადგურთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლის მწვრთნელი **ნუგზარ ლემონჯავა**.

4. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კათედრის გამგე, გამოჩენილი მეცნიერი ეკონომიკისა და ფინანსების დარგში, 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის და მონოგრაფიის ავტორი, ღირსების ორდენის, იაკობ გოგებაშვილის და ივანე ჯავახიშვილის მედლების მფლობელი, ძირძველი ფოთელი **გედევან ხელაია**.

5.საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, დიპლომატი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს და რამოდენიმე საერთაშორისო დარგობრივი აკადემიის წევრი, საპატიო დოქტორი და პროფესორი **ზურაბ ხონელიძე**.

6. ღირსების ორდენის მფლობელი, ფოთში ცნობილი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **ბადრი ნაცვლიშვილი**.

7. ქალაქის სტუმარი, ფოთის დიდი გულშემატკივარი, საქართველოს საგანგებო სიტუაციების კორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორი **ავთანდილ თალაკვაძე**.

26 მაისის ღონისძიებები გალაკონცერტით დასრულდა. მაყურებლის წინაშე წარსდგნენ მაია ბადურაშვილი, მარიკო ებრალიძე, თემო საჯაია, ნესტან ჯიბლაძე, ზაურ შავგულიძე და ჯგუფი ,,ბანდეროლი".

ფოთის საპატიო მოქალაქეების ბიოგრაფიას მოგაწვდით თანდათანობით. დღეს გთავაზობთ ძირძველი ფოთელის, თსუ-ს პროფესორის გედევან ხელაიას ბიოგრაფიულ მონაცემებს.

**გედევან ხელაია** გამორჩეული ფიგურაა-სიმპათიური. ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულის განსახიერებაა. გედევან ხელაიას სულიერი და ფიზიკური ჰარმონიულობა მეცნიერების პარალელურად, ხელოვნებასა და სპორტთან მჭიდრო კავშირითაა განსაზღვრული.

გენიალურად არის ნათქვამი-ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ.

ბავშვობა, ესაა პერიოდი მშობლებთან-შინ და სკოლაში.

დედა-ლუბა კვაჭაძე (1907-1989წწ.) დაწყებითი სკოლის პედაგოგად მუშაობდა. წარმოშობით ლანჩხუთიდან (სოფ ნინოშვილი). მამა - გიორგი (1904-1985 წწ.) სამეურნეო მუშაკი იყო, წარმოშობით მარტვილიდან, თუმცა, გედევან ხელაიას მშობლები ფოთში ცხოვრობდნენ, სადაც 1927 წლის 5 აგვისტოს დაიბადა ბატონი გედევანი და სადაც 1944წელს დაამთავრა ფოთის №1 საშუალო სკოლა.

გარდა იმისა, რომ გედევან ხელაია ფოთელია და გენეტიკურად გურულ-მეგრული სინთეზის მატარებელი ქართველია, არის კიდევ ერთი მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი საყრდენი და ეს საყრდენი მისტერიულადაა მოცემული.

გედევან ხელაია დაიბადა იმ წელს (1927), როდესაც გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და მცხეთა - თბილისის მთავარ ეპისკოპოსი(1921-1927წწ) ამბროზი (ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია, დაბადებული 1861 წელს). იგივე წმინდანად შერაცხული (1995წ). ამბროსი აღმსარებელი.

გედევან ხელაიას მამა, გიორგი ამბროსი აღმსარებლის ძმის-ალექსანდრეს შვილი იყო. სწორედ ალექსანდრე გადავიდა მარტვილიდან ფოთში. ხელაიების ოჯახში დიდი მადლის სანთელი არ ჩამქრალა. ბატონ გედევანის შვილმა გააგრძელკა დიდი ბაბუის და წინაპრის გზა და დღეს ის -მამა იოანე (ხელაია) რომში ეწევა ღვთის მსახურებას.

გ.ხელაია წლების განმავლობაში იყო თსუ კალათბურთელთა გუნდის წევრი, გუნდის კაპიტანი, სსრკ სტუდენტთა ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი.

მრავალფეროვანი ცხოვრება შესაძლებელია მხოლოდ მეგობრობის ინსტიტუტის მეშვეობით. გედევან ხელაიას ცხოვრების ყველა ეტაპი წარმოდგენილია მეგობრებით: ეს იქნება ფოთის №1 საშუალო სკოლა (ქირურგ გივი ჟვანიას მეთაურობით), თსუ (ნოდარ დუმბაძის მეთაურობით), სპორტი (გოგი ბახტურიძის მეთაურობით). და სხვა.

ბატონი გედევანი გამორჩეული კაცია პირად ცხოვრებაში, ოჯახთან მიმართების თვალსაზრისით. მან მეუღლესთან- მირანდა თოლორდავასთან ერთად შექმნა ოჯახი, რომელიც დღეს მათი ოჯახიდან წარმოშობილი ოჯახებისა და ,,ნაგრამის" სახით აგრძელებს ჯიშსა და ჯილაგს. შვილები: ხათუნა და ზაზა. ,,შეძენილი" შვილები: გიორგი მერაბიშვილი, თამუნა ღლონტი, ლულუ ბერიძე. შვილიშვილები: გუგა (გიორგი), დათო ხელაიები, მირანდა, მამუკა, ნიკუშა მერაბიშვილები.

ცხოვრებაში ყველა ადამიანურად ზნეობრივ გადაწყვეტილებას აქვს უფლება, მაგრამ ბატონმა გედევანმა, როდესაც მეუღლე გარდაეცვალა, ,,ცალუღელში" ყოფნა არჩია, მარტოხელამ გააგრძელა შვილების პატრონობა, რითაც დაიმძიმა თავისი ყოფა, მაგრამ საზოგადოების თვალში ავტორიტეტი და პატივისცემა განიმტკიცა.

ბატონი გედევან ხელაია, გარდა ნათქვამისა იმსახურებს მადლობას იმისთვისაც, რომ არის ჩვენს გვერდით, რომ გვაქვს საშუალება ვიყოთ მის გვერდით და მივიღოთ მისგან იმედად და მაგალითად, რომ ასაკი არ არის ბარიერი, რომ ასაკი არის კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა, დაფუძნებული სიბრძნის წარმომშობ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე.

ვუსურვოთ ბატონ გედევან ხელაიას დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ღირსეულად ეტარებინოს ფოთის საპატიო მოქალაქის წოდება.

## გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა პალიასტომის ტბაზე თხევად საწვავზე მომუშავე შიგაწვისძრავიანი ნავით სარგებლობის კიდევ ხუთი წლით გადავადებას დაუჭირა მხარი

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა პალიასტომის ტბაზე თხევად საწვავზე მომუშავე შიგაწვისძრავიანი ნავით სარგებლობის კიდევ ხუთი წლით გადავადებას დაუჭირა მხარი კომიტეტმა მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტი „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" განიხილა და მხარი დაუჭირა.საკითხი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ თომა დეკანოიძემ გამოიტანა და კომიტეტის წევრებს მიღების მიზნებსა და მიზეზებზე მიაწოდა ინფორმაცია.



## ფოთში ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურმა წარმომადგენლები წარადგინა

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა ვლადიმერ იმნაძემ ,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს გოჩა კურდღელიას, ფოთში ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენლები -დავით კვარაცხელია და მერაბ (გია) კორშია წარუდგინა.

შეხვედრაზე ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობაზე ისაუბრეს, ასევე განიხილეს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში არსებული მიმდინარე პროექტები.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მზაობა გამოთქვეს,რომ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან კიდევ უფრო მჭიდროდ ითანამშრომლონ იმ ადამიანების თანადგომისა და მხარდაჭერისთვის, რომელთაც ჩვენი ქვეყნის ერთიანობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით. შეთანხმდნენ, გამართონ



პერმანენტული შეხვედრები ვეტერანების წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად.

"კიდევ ერთხელ გამოვხატავ პატივისცემას თქვენი ორგანიზაციის და თითოეული ვეტერანის მიმართ. დარწმუნებული ვარ, კარგი შედეგები გვექნება. მინდა, ჩემი კოლეგების, მეგობრების სახელით, ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში, სრული მხარდაჭერა აღგითქვათ."- განაცხადა ფოთის მერმა, გოჩა კურდღელიამ.

აღნიშნულ შეხვედრას ფოთის მერის მოადგილეები კონსტანტინე თოფურია და პაატა ლაგვილავა, ომისა და სახელმწიფო ძალების ვეტერანები ესწრებოდნენ.

## ფოთში ზღვის წყლის ხარისხობრივი მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელია



ქიმიური და მიკრობიოლოგიური გამოკვლევების შედეგების მიხედვით, ფოთის სანაპირო ზოლში, ზღვის წყლის ხარისხობრივი მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელია.

ლაბორატორიულმა კვლევის ცენტრმა,დაახლოებით ორი კვირის წინ, ზღვის წყლის სინჯი ოთხი სხვადასხვა ადგილიდან აიღო.

ლაბორატორიული კვლევის ცენტრი მთელი სეზონის განმავლობაში, ზღვის ხარისხობრივი მაჩვენებლის მონიტორინგს ყოველ თვე სამჯერ განახორციელებს.

## შეხვედრა იაპონიის საელჩოს საგრანტო პროექტთან დაკავშირებით



იაპონიის საელჩოს მიერ მუნიციპალიტეტების და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოცხადებული საგრანტო კონკურსის პირობები, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეებს და რეგიონის მუნიციპალიტეტების მერებს, საელჩოს წარმომადგენლებმა დღეს გამართულ შეხვედრაზე გააცნეს. საგრანტო პროექტები უნდა ემსახურებოდეს მწვავე საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარებას, პროექტი უნდა იყოს მდგრადი და ფუნქციონირებდეს მინიმუმ 10 წელი დასრულებიდან. პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელება ან მძიმე ტექნიკის შეძენა. თითო გრანტის მაქსიმალური ოდენობა 70 000 აშშ დოლარს შეადგენს. განაცხადების მიღების ბოლო ვადა 2019 წლის 12 აგვისტოა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი, მერების მოადგილეები და ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლები.

## ზღვის სანაპიროზე სამაშველო ბრიგადებმა პატრულირება დაიწყეს

ფოთში ზღვის სეზონის გახსნასთან ერთად, შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამაშველო ბრიგადები შეუდგნენ შავი ზღვის სანაპიროზე, საბანაოდ გამოყოფილ მონაკვეთებზე პატრულირებას. 1 ივნისიდან, მალთაყვის სანაპიროზე მაშველთა 7, ხოლო კუნძულის უბნის სანაპიროზე 4 ბრიგადა მუშაობს. პატრულირება დილის 9 საათიდან საღამოს 21 საათამდე ხორციელდება.



# ღვთითკურთხეული და დალოცვილი ნადარაიების საგვარეულო შეკრება ხობის მონასტერში

## გვარის კურთხევის დღე 3-1 მაისი



ეროვნულობის შემდეგ ინდივიდუალურობის მაჩვენებელია გვარი-ჩვენი ჯიშის და გენის ისტორია - თავისებური, ღირსებით, რწმენითა და სიყვარულით აღსავსე. ესაა სისხლის ყივილი წინაპრებისა. ჩვენი ქვეყნის ისტორია ხომ ხმლით არის შემოსაზღვრული გამუდმებული ომები და განსაცდელი ქმნიდა ქართველი კაცის ხასიათს - შეუპოვარს, გმირულს და ჰეროიკულს. ერს ქრისტიანული რწმენა აერთიანებდა, რამაც გადაარჩინა ურჯულოთა გარემოცვაში მყოფი ქვეყანა და ღირსეულ ადგილი დაუმკვიდრა მსოფლიო არენაზე. ღვთაებრივი ლოცვა არ მოკლებოდეს ნადარაიების გვარს. 4 წლის წინათ სამების ტაძარში **საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა, ილია მეორე ალმაშენებელმა** დალოცა ნადარაიების გვარი ქვეყნის მსახურებისა და ღვაწლისათვის და ქრისტიანული სულის უკვდავება დაანათლა. განუმეორებელია საუკუნეებს გამოვლილი ქართული ხასიათი. ამ სულისკვეთებით შეიკრიბნენ გვარის დღესასწაულზე ნადარაიების გვარის წარმომადგენლები ხობის მონასტერში-ღვთაებრივი რწმენით აღსავსენი 31 მაისს. აღსანიშნავია, რომ ამ გვარის წარმომადგენლები ყველა კუთხეში მოღვაწეობენ, მაგრამ განსაკუთრებით ხობის რაიონში არიან თავმოყრილი, სოფელ სანადარაიოში. თითქოს მინი სახელმწიფოა მთელი თავისი ატრიბუტებით, მთელი თავისი სიდიადით-ოჯახებით, შთამომავლებით. ღვთის რწმენით კლტურით, განათლებითა და ტრადიციებით. საგვარეულო ამაყობს მისგან წამოსული ადამიანებით, ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეეით, მეცნიერებით, ხელოვანებით. ყველგან შეიმჩნევა ერთიანი სულისკვეთება, გვარის გამრავლების და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისა, ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღისა, სისხლით სა სულით ნათესაობის ერთიანობისა, თვითმყობადობისა და ორიგინალობისა.

ამ დღეს თბილისიდან სპეციალურად ჩამოვიდა ნადარაიების საგვარეულოს საბჭოს მეთაური **კახა ნადარაია**, ცნობილი მედიკოსი, პროფესორი. ის ვერ ფარავდა მშობლიურ მხარეში ჩამოსვლით გამოწვეულ სიხარულს - ჭაბუკობის მეგობრებთან შეხვედრის სიხარულს. ყოველი დღე რაღაცით ძვირფასია, მაგრამ საგვარეულო დღე განსაკუთრებით ამაღელვებელია. შენი გენისა და გვარის ყივილი არ გასვენებს. გვარსაც ხომ თავისი წარსული, საწყისი აქვს, როგორც ქვეყანას, თავისი ხასიათი სამშობლოს ფესვებს ჩაკირული.

ხობის მონსასტერი, აქ არის დადიანების საგვარეულო საფლავი, საქართველოს ზნეობრივი გმირის, წმინდანის ცოტნე დადიანის საფლავთან სანთლები ავანთეთ, თითქოს მისი სული გვიხმობს, გვეძახის, ბრძოლისთვის განგვაწყობს. ბიბლიური მცნება წამოიწევს ასეთ დროს წინა პლნზე ,,სამშობლო იწყება არა მაშინ, როცა ადამიანი იბადება, არამედ, როცა კვდება," სამშობლოს განცდა საფლავებით იწყება. ამ ცნების სივრცეშია ადამიანის მიწიერი და ზეციური მოვალეობა ერისა და ღვთის წინაშე. ვინ როგორ აღასრულა იგი, ისტორიული მეხსიერება სამუდამოდ ინხავს, ესაა ადამიანები, რომელთა მზეც ჩაქრა და მაინც ანათებს. ვინც ღირსეულად ატარა მძიმე ჯვარი,

სიკვდილს ვერავინ გაექცევა, ზოგან ადრეა, ზოგან გვიანი. საქმე ის არის თავის სიცოცხლეს როგორ იყენებს ადამიანი.

ფოთელები ,,ფაზისის" კადემიის წევრები მოგვიწვიეს ნადარაიების გვარის შეკრებაზე. **ვაგნერ მხეიძე, მურმან ბუკია, ქერონ შუბითიძე, ზურაბ აბრალავა, ნუგზარ ნადარაიას** ,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტის ხელმძღვანელობით დათქმულ დროს შემოვუერთდით ზეიმის მონაწილეებს ხობის უძველესი ტაძრის ეზოში. ზარები ისე წკრიალებენ როგორც 12 საუკუნის წინათ, ულამაზესი ბუნება, უნიკალური მცენარეები, გაოცებას იწვევს ტაძრის მოხატულობა.

ამ დღეს ჩამოვიდნენ გვარის წარმომადგენლები თბილისიდან, ზუგდიდიდან, წალენჯიხიდან, ჩხოროწყუდან.

ნადარაიების ყველა თაობა იყო აქ. ადამიანები მიდიან, გვარი რჩება - ამ მუდმივობაში არის სულის უკვდავება და მისია. მიწაზე ღვთის მსახურია ეკლესია, იყო ლოცვები და ქადაგებანი.

ბოლოს საღამო დაგვირგვინდა ტრადიციული ქრთული სუფრით, გაიხსენეს წინაპრები, დიდი ადამიენბი, გარდაცვალება ცოდვილთათვის არის სიკვდილი, თორემ განწმედილთათვის უკვდავების დასაწყისია. სდღესასწაულო სუფრას უძღვებოდა ხობის კულტურის ცენტრის დირექტორი **ბექან ნადარაია**.

გვარის სიძლიერე ოჯახია, ჩვენი ციხე და კარია. განსაკუთრებით დაილია ქალების-დედების, როგორც - ცოცხალი ღმერთების სადღეგრძელო.

..ქალი იმიტომ შექმნა ღმერთმა, რომ კაცი უყვარდეს, კაცი კი მისთვის გააჩინა, რომ ქალი გააღმერთოს - გვახსენებს ბატონი **ნუგზარ ნადარაია**. ბევრი რამ ითქვა თავად ბატონ ნუგზარ ნადარაიას ღვაწლზე, ის 12 წელი ხობის რაიონის თავკაცი იყო. ეს იყო ამ რეგიონის ეკონომიკურ-კულტურულ სოციალური წინსვლის წლები. მისი ინიციატივით წმინდანებად შერაცხეს **ცოტნე დადიანი და გიორგი ჭყონდიდელი**.

ხობელებმა იციან ამაგის დაფასება და ეს ამ დღესაც იგრძნობოდა, ბატონმა ნუგზარმა მასპინძლებს საჩუქრად გადასცა **ბადრი კობახიძის** მხატვრული პორტრეტი და **გიორგი ჭყონდიდელის** ხატი.

სიცოცხლე გრძელდება, კიდევ ერთხელ დაილია ჯიშის, გვარის და გენის სადღეგრძელო, დაე, კვლავაც თქვენი წინსვლისა და გამარჯვებისა იყოს გვარის ღირსეულო გამგრძელებლებო. ღირსებისა და კაცობის მატარებელო ადამიანებო!

ზ. აბრალავა.

# ,,ფაზისის" აკადემიის წლის ბოლო სხდომა -პოეზიის დღესასწაული

*ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩაატარა „ფაზისის" ფოთის ორგანიზაციამ ქალბატონ **დოდო ხუხიას** ხელმძღვანელობით, რომელიც ამჟამად ფაზისის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად არის არჩეული. კოლხეთის ისტორიის საკითხებზე სხვა მნიშვნელოვან პრობლემებზე სასაუბროდ მოწვეული იყვნენ ცნობილი მეცნიერები, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები.*

*წლის ბოლო სხდომას დაესწრო და შესავალი სიტყვით გახსნა „ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტმა ბატონმა **ნუგზარ ნადარაიამ**. მან ასევე ისაუბრა აკადემიის მომავალ გეგმებზე და **საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია მეორე ალმაშენებლის** ნაკურთხი ხატები გადასცა ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორს ქალბატონ **ნუნუ ქელიძეს** და კოლხეთის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორს ქალბატონ **ელენე გაბლიანს**. აკადემიის საქმიანობაში მხარდაჭერისა და ხელშეწყობისათვის. ასევე ცოტნე დადიანის ხატი გადაეცა **სანათა თოდუას** ცოტნე დადიანის მონუმენტური ძეგლის გამწვანება-გალამაზებისათვის. შემდეგ გაიმართა ლიტერატურული საღამო აკადემიის წევრებმა წაიკითხეს პროზაული და პოეტური ნაწარმოებები მათ შორის, ნაპო თოდუამ, ჭაბუკი ქოიავამ, რონა ბუბუტეშვილმა, ლუიზა ჩხეტიამ, ეთერ ლატარიამ, ჩოქო მხეიძემ, ზაირა გაბელია-გუნცაძემ, ზოია გრაფიშვილმა და სხვებმა.*

*აკადემიის ახალ წევრებს გადაეცათ სპეციალური მოწმობები.*

### ლექსის შემდეგ



ეს მაწუხებდა,
ეს მჩაგრავდა,
ეს გულს მიღრნიდა,
დიდი ვულკანი
იღვიძებდა
ჩემში შიგნიდან.
როცა ფიქრებმა
ხორცი ისხა,
სიტყვა ინება
და გონებიდან მოხდა მისი
გადმოდინება, -
ამოვისუნთქე, დავიბადე,
თითქოს თავიდან,
დილა განათდა, ცა გალურჯდა
და ზღვა დამშვიდდა,
მომესმა შვილთა საუბარი,
ცოლის რჩევები,
კვლავ აღვიდგინე ეს სამყარო,
განურჩეველი...
რას დავაბრალო ხასიათის
ასე ცვალება? -
აღარ მაშინებს ლექსის შემდეგ
გარდაცვალება...

ალექსანდრე დოლბაია

### ბჟენი შეაზანზარე



უფლის ნებით
მოხვედი,
დამიამდა...ეს
გული.
ერთ დროს, როცა
მოვკვდები,
მზამს, დამრჩები
ერთგული...
დამიპურე...მოყვრები,
მზუხრის სუფრა, გაშალე,
საფლავამდე მომყევი,
ფილაც გამიშანშალე.
მარდვში გიდუდს ოხერი...
სისხლი, მეფეთ-მეფეთა,
შენემრ, ლომის მოკვერი,
ჩვენს მცერს, შემოეფეთა!
გულმხურვალე მასპინძელს,
ზედ გაცყვია, გურჯი ხარ,
მოგვივლინე, ცახის წელს
და ცახივით, ურჩი ხარ.
მალი - ცხოველმყოფელი
დაგყვა, მითაქამიდან,
შენი - სვეცეცხოველი...
ავ-თვალისგან გფარვიდა.
გაამრწყინე ცამარი.-
საღვთისმშობლო, საუფლო,
მჭენი შეაზანზარე...
მცერს, ადლი არ დაუთმო.
შენ ხარ, ლომის მოკვერი,
ნაშიერი მეფეთა...
მოყმე, შენემრ ოხერი...
ჩვენს მცერს, შემოეფეთა!.

თენგიზ (ჩოქო) მხეიძე

### სადღეგრძელო



საქართველოს...
გაყიდულის
მეწვეზე ნეკით დაკიდულის
სადღეგრძელო ნემსის
წვერით დაელიოთ
რომ მლანქე და
ახალუხით
და საყურეს ჭახაჭუხით
ქართველი არ მიეგებოს ალიონს.
ჰო, პაწაწა აფხაზეთი
ვის დღეს ცურჩი მოცეხილი
მოვიმიოთ, ემეთ, ხელის ფათურით,
ღვინო ცრემლში ვიღამ გაყოს,
„აბა ულა" შემოვძახოთ,
იქნებ გაღმა ჯერაც ახსოვთ ქართული.
ჩვენი და-ძმით გაფანცულით,
დედამიწა დაწინწკლული.
მოვიაროთ წუხილით და ლოცვით,
ვუთხრათ სხვაგან არ არსებობს
რომ ამგვარი გაზაფხული
აქ დავკრიფოთ თრიალეთზე მოცვი.
თუნდაც ერთი ღალაცის
და თუნდაც ერთი მეგობარის
ნეცა ზურგზე, რომელს არ გვაქვს იარა,
მაგრამ მაინც მიცვევმით,
მაგრამ მაინც ერთგულებით
უნდა ვმარგლოთ საძმო ყანა ზიარად.
საქართველოს... გაყიდულის
სმეწვზე ნეკით დაკიდულის
სადღეგრძელო ნემსის წვერით დაელიოთ
უმრავლოდ ვთქვათ რაც გვაქვს გულში
ერთად გავძვრეთ ნემსის ყუნწში
და კაცურად მივეგებოთ ალიონს.

ჭაბუკი ქოიავა



ბატონო ჯუკა! მიჭირს თქვენზე წარსულ დროში წერა. ცრემლნარევი სიტყვებით გიძღვნით ამ სტრიქონებს.



მიდიხარ, მაგრამ კვლავ
ჩვენთან რჩები...
გერონტი (ჯუკა) კუხალეიშვილს
...
კაცო, ფაზისში ამაყად
მდგარო,
სხვაგან, ამ გზიდან
ფეხმოუცვლელო,
კეთილ საქმეთა გამოცდის
წყაროვ,
გაშლილ ჭადრების მწვანე ფურცელო.
შენ, ოცნებების ნატვრის ხის დარო,
ყველა ფოთელის ძმავ და ძმობილო,
შენ, უდალატო მეგობრის მხარო,
ჩვენი ტკივილის მისანდობელო.
ჩვენ, დღესაც შენით ვამაყობთ გულში,
ვაი, რომ ახლა ვერ გიხდით ამაგს,
იყავ კოლხური ოჯახის ბურჯი,
ვაჟკაცურ გულით მდიდარი მამა.
დასანანია, მიდიხარ ჩვენგან,
ფოთელების გულს ბზარებს რომ უჩენს,
შენი კეთილი საქმეთა სხივი
კვლავ დაეფრქვევა ფაზისის ქუჩებს.
...
გზა დაგელოცოს შენ უფლის ნებით,
მიდიხარ, მაგრამ კვლავ ჩვენთან რჩები.

ლუიზა ჩხეტია-ზაქარაია



### თვალთვალი

ამ მარჯვენამ მოქნეულმა
მიმტყუნოს,
შეგპირდე და გიღალატო გიმტყუნო,
ოღონდ გნახო, შენ გულწრფელი
მართალი,
არ გჭირდება კონტროლი და
თვალთვალი.

*****

### სად ლოცულობ

სად ლოცულობ ეს არ ნიშნავს ვინახარ,
სამმაკაცოს შეუცვლელი მინა ხარ,
არ ვინ გეძებს, საჭირო დროს შინახარ,
გამჭვირვალე, სულმართალი მინახარ.

*ნაპო თოდუა*

დიდი იუბილე

**„გარბოდნენ დღეები, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები**

# ჯემალ კახიანი -80

## *ვალმოხდილი ღვთისა და ერის წინაშე*



ფოთი მითების ქალაქია, ფოთი ფაზისის აკადემიის ქალაქია და არ მინდა **ჯემალ კახიანზე**, ამ პატარა მილოცვის წერილი ტრაფარეტულად დავიწყო. რამეთუ როგორც მის იუბილესან დაკავშირებულ სუფრაზე ბატონ **ბაკურ გულუამ** განაცხადა: „აი ასეთი ბაჯაღლო პატიოსნების მქონე ადამიანი ედგა სათავეში ფოთს წლების განმავლობაში"-ო.

მართლაც მაშინ, როდესაც მომხვეჭელობა მძვინვარებდა ქვეყნად იყვნენ ადამიანები , რომლებსაც პატიოსნება და კეთილშობილება მაღალ რანგში ქონდათ აყვანილი.

წლების განმავლობაში სათავეში იდგე ხელმძღვანელ თანამდებობაზე და ღირსეულად ატარო კაცური კაცის სახელი, ეს არ იყო იოლი, მაგრამ ბატონმა ჯემალიმ ეს შეძლო და დღესაც შეუბღალავად ატარებს ნაღდი ფოთელის სახელს.

იგი 80 წლის წინ 25 მაისს დაიბადა ფოთში. მისი სიცოცხლე და მოღვაწეობა მთლიანად დაკავშირებულია ფოთთან. რამეთუ კარგად იცოდა თუ რას ნიშნავდა ფოთელობა, უყვარდა ქალაქი და ფოთელები, ხშირად იმეორებდა: „ჯერ კიდევ როდის ფოთობდა ფოთი"-ო და „ფოთელებს ერთი სიყვარული აქვთ - ეს სლოგანები მისი ცხოვრების დევიზი იყო. იგი ჩუმად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე აკეთებდა დიდ საქმეს. ვთქვი, რომ ტრაფარეტული არ ვიქნები მეთქი, მაგრამ ეგზიუპერს ვერ გავექეცი. „ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ". ბატონი ჯემალიც თავის ბავშვობიდან მოდის, რამეთუ მისი ოცნება და გატაცება იყო და არის ციური საიდუმლოებების დაპყრობა. სწორედ ამიტომ არჩია, უმაღლეს საავიაციო სკოლაში სწავლა. დაამთავრა რა კიევის საავიაციო აკადემია დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს და დაიწყო შრომითი საქმიანობა. მალე დიდ წარმატებასაც მიაღწია და დააწინაურეს ქალაქის ხელმძღვანელ თანამდებობაზე, მეორე მდივნად. აქ უკვე მისი მოღვაწეობის არეალი გაფართოვდა და არამარტო ავიაცია არამედ მთელი ქალაქი მოიცვა. ფოთში მის დროს დაიწყო დიდი ექსპერიმენტი ბაკურ გულუას მეთაურობით. სწორედ ჯემალ კახიანი იყო ის რგოლი, რომელზედაც გადიოდა ბრძოლის მოწინავე ხაზი. ამიტომაც ყველა ის წარმატება, რასც ქალაქი აღწევდა მის სახელთან არის დაკავშირებული. **ჯემალ კახიანი და ვიქტორ ტიხოვი**, **ბაკურ გულუას** ხელმძღვანელობით მთელ საბჭოთა სივრცეში იყო ცნობილი.

საიდან არ ჩამოდიოდნენ ფოთის ექსპერიმენტის გასაცნობად, რათა თვალნათლივ ეხილათ ფოთელთა წარმატებები. ცეკას მდივნებიდან დაწყებული, იაკუტიის ტუნდრებიდან მოყოლებული ქალაქისთავები მოდიოდნენ და ეცნობოდნენ ფოთის ექსპერიმენტს.

კეთდებოდა საქმე და ლამაზდებოდა ფოთი. იგი იყო არამარტო საზღვაო ჭიშკარი, არამედ საჰაერო ჭიშკარიც სრულიად საქართველოსი. მომხიბლავი, სუფთა, კოპწია, როგორც იტყოდა პოეტი:

„მწვანეში ყვინთავს ქალაქი
ფოთი,
ჩემი ბავშვობის და ყრმობის
ბუდე."

ჯემალ კახიანის საიუბელოე სუფრას ამშვენებდნენ მისი ოჯახის წევრები-მეუღლე თამარი, კეთილი, სათნო ქალბატონი. შვილები: ალექსანდრე, სოფია და მაგდა. შეძენილი შვილები: ნინო გიორგაძე, კახა სიდამონიძე და ირაკლი კაპანაძე. შვილიშვილები: თამარ კახიანი, საბა სიდამონიძეები, სოფო და ტასო კაპანაძეები, და-თამილა კახიანი, დისშვილი ირაკლი ჯორჯიკია შვილით-ივერი ჯორჯიკიათი.

თბილისში მცხოვრები ფოთელთა საზოგადოების წევრები: სპარტაკ გოგინავას ხელმძღვანელობით: გივი აბდუშელიშვილი, პეტრე ბერაია, ჯიმი ქვარცხავა, მერაბ ზამბახიძე, იგორ მამალაძე, აქ იყო ძირძველი ფოთელი, ყოფილი მინისტრი უჩანეიშვილი მეუღლითურთ, ფოთელები, ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გია დარჯანიას ხელმძღვანელობით, ილია ქვარცხავა, ვანო ნარმანია. მეგობრები: რუსლან ბოლქვაძე, სოზარ ჯალაღანია, თამაზ გოგოლი. ზუგდიდელი მეგობრები ოთარ ჭითანავა და ჯემალ კვირტია.

ეს იყო ლამაზი შოუ, მინორული მუსიკის ფონზე, რომელსაც თამადობდა ქართული სუფრის ადათ-წესების სრული დაცვით ფოთის საპატიო მოქალაქე ბაკურ გულუა.

საღამოზე წაკითხულ იქნა უკრაინაში მოღვაწე, ქართველი პოეტის ზაურ ჩილაჩავას ლექსი,

ფოთი

ფოთი – ძველი ციტადელი,
ძველისძველი კალა – ფოთი,
როგორც ჰელიოსის ფარი
და ფაზისის კალაპოტი.

მე აქედან გავმჰზერ პონტოს,
როგორც საქართველოს კიდეს.
ო, მამულის კიდეებმა
რამდენ მტარვალს გადაგვკიდეს.

როგორც უწინ, როგორც ადრე –
მეკობრეთა თარეშობა,
ეს მათ ჯიბრზე ჩვენმა ზეცამ
რა პირმადლი სახე შობა.

თუთა დიაჩქიმი,
მთვარე – ჩემი დედა!
მისმა ნაღვლიანმა მზერამ
თითქოს სისხლი შემიდედა.

ნავსადგური შეჩვევია
შემახილებს ნავსადგურელს.
მთავარევ, მთავარევ ნუ შერაცხავ
ნავსად მეგრელს, ნავსად
გურულს!
თეთრ ხომალდებს აწერია:
„ათენი" და ნიქოზია...
– ეს ქალაქი ვისი არის?
– ვისია და ნიკოსია!

ფოთი – ტალღათ მქუხარემა,
ხანაც ჩუმი ხვნეშა – „ფოთის"!...
აქ მომდგარი უცხო ფლოტი
გვახსოვს, როგორც ეშაფოტი.

გვახსოვს, მისმა მატროსებმა
როგორ აგვქმნეს ასო-ასო,
მათი სივერაგე ალბათ,
ეყოფოდა ას იასონს!

შავ ზღვას ახლაც ამჩნევია
გემთა მათთა ნაღუზარი.
(ამ ექსკურსით ვიცი მრავალს
რა ტკივილიც აღვუძარი!)

მაგრამ რა ვქნა, მეშინია,
არ ვემსხვერპლოთ კვლავ
არმადებს.
(არმადებმო ადმირალებს,
სახელს კაცთა კვლა
არმატებს!)

აფსუს ფოთის კარიბჭეს რომ
ნავებმა ვერ უურდულეს!
მეცხრე ტალღად შევლეწით
ჩვენ ეპოქას ურთულესს.

და როდესაც აღმოხდება
თუთა (მთვარე) – ჩემი დედა,
მეჩვენება: მისმა მზერამ
ძარღვში სისხლი შემიდედა!

რომელსაც აქვე გთავაზობთ.

სიბერე 80 წლის შემდეგ იწყება უთქვამთ ჩვენს წინაპრებს და ბატონ **ჯემალ კახიანს** ვუსურვებთ დიდი ხნის სიცოცხლეს, ბედნიერ სიბერეს და ჯანმრთელობას, რამეთუ მან ღირსეულად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე და მისი ცხოვრებისეული გამოცდილება კიდევ სასიკეთოდ წაადგება ჩვენს სამშობლოს, სრულიად საქართველოს, ფოთს.

ი. სპერი

---

**ღვაწლმოსილი მშენებელი და მოქალაქე**

# დევი გვალია -70

ღვაწლმოსილ მშენებელს და მოქალაქე **დევი გვალიას** ფოთის საზოგადოების წინაშე წარსდგენა არ სჭირდება, იგი იმ ღვაწლმოსილ მშენებელთა რიგებშია, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვის ფოთისა და ნავსადგურის აღმშენებლობის საქმეში.

დევი გვალია ძირძველი ფოთელია და დამთავრებული აქვს ფოთის მე-2 საშუალო სკოლა, ხოლო 1974 წელს დაამთვარა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ხოლო 1990 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ. სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს დაქვემდებარებაში სოხუმში, გაგრაში, ზესტაფონსა და თბილისში. 1993 წლიდან იგი ინიშნება ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფროსის მოადგილედ რეკონსტრუქციისა და მშენებლობის საკითხებში. სწორედ ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, მისი უშუალო მონაწილეობით ფოთის ნავსადგურში განხორცილედა პორტისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი ისეთი პროექტები, როგორიცაა საკონტეინერო ტერიტორიის კომპლექსი (გეზი, სამხრეთ დასავლეთ მოლის რეაბილიტაცია - მოდერნიზაცია.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ფოთის ნავსადგურში სარკინიგზო - საბორნე კომპლექსური გადასასვლელის მნიშვნელობა, რომლის გახსნაში პროექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე სამი ქვეყნის პრეზიდენტი ღებულობდა მონაწილეობას. ამ საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დევი გვალია 1999 წელს საქართველოს პრეზიდენტის ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

დევი გვალია თავისი პროფესიული პასუხისმგებლობის გარდა, გამოირჩევა აქტიური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი პოზიციით. ფასეულია მისი მაღალი საზოგადოებრივი შეგნება და ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა. 2005 წლიდან არის ფოთის იესო ქრისტეს აღდგომის სახელობის ცენტრალური საკათედრო ტაძრის აღდგენის ფონდის მშენებლობის უფროსი და მისი უაშუალო ხელმძღვანელობით დამთავრდა კულტურული მემკვიდრეობის იმ უნიკალური ძეგლის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუსაოების პირველი ეტაპი. იგი ხელმძღვანელობდა ფოთის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამონასტრო კომპლექსისა და ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მშენებლობას. ამ საქმეში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოებულია სხვადასხვა სიგელებით.

დევი გვალიას ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 23 მაისის ბრძანებით მინიჭებული აქვს ფოთის საპატიო მოქალაქის



წოდება. მას მიმდინარე წლის 11 ივნისს შეუსრულდა დაბადების 70 წელი.

კვლავაც წარმატებებს ვუსურვებთ ღვაწლმოსილ მშენებელს საზოგადოებრივ საქმეში და პირად ცხოვრებაში!

# ნუ მივჩქმალავთ ერის ნამდვილ ისტორიას ლეონტი მროველი

## ქართველი ეპისკოპოსი თუ სომეხი მემატიანე



ლეონტი მროველის ცნობით, ქრისტემდე მე-3 საუკუნეში გავრცელებული იყო 6 ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, რაც არასწორი წარმოჩენაა ისტორიული რეალობის.

1. ქრისტემდე მე-3 საუკუნეში, (ვიდრე მე-9 საუკუნემდე) ცნება საქართველო-ერთიანი სახელმწიფოსი არ არსებობდა. პირველად, მისი დამკვიდრება მოხდა მეფე ბაგრატ მე-3-ის მიერ მე-11 საუკუნეში. მე-3 საუკუნეში კი არსებობდა ეგრისის სამეფო და ქართლი. რის შესახებ ლონტი მროველი შეგნებულად არ ახსენებს ეგრისის სამეფოს, არამედ-საქართველოს! ვინაიდან, მას მოუწევდა მეგრულ-ლაზურ-სვანური ენების აღიარება, რის გამოც შეეცადა რეალური ისტორია მიეჩქმალა იმ მიზეზით, რომ არ წარმოჩენილიყო პირველადი კვალი უძველესი ენისა, რომლის ტოპონიმები განფენილია თითქმის მთელს ევროპასა და აზიაში. ამის შესახებ დუმს „ქართველი" მემატიანე ლეონტი მროველი და მის ლანდს გამოკიდებული თანამედროვე მეცნიერების უმეტესი ნაწილი.

2. შემდეგი მიზეზი მროველის დუმილისა ის გახლავთ, რომ დღევანდელ სომხეთის ტერიტორიაზე ძვ. წ. მე-7 საუკუნეში ცხოვრობდა ფრიად განათლებული ძვ. მეგრელთა განშტოება ალაროდიელები, რომლებიც ძვ. წ. მე-6 საუკუნეში მომხვდური დიდი გაერთიანების არმენების მიერ სასტიკად იქნა განადგურებული. რის გამო, ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობის მიერ მომხვდურზე განზოგადდა სახელი „სონმეხი", რაც ძვ. მეგრული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს: „სადაური მეხი", რომელიც პირდაპირ მიუთითებდა სრულიად მოულოდნელად მეხივით თავსდატეხილ უბედურებაზე მიანიშნებს, რასაც ასე უფრთხობდა მროველი. ამიტომ უნდა მიჩქმალულიყო, გაუბრალოებულიყო, ღარიბ და ჩამორჩენილ სოფლის კილოკავად უნდა წარმოჩენილიყო, რაშიც, ასევე დიდი წვლილი მიუძღვის, (ნუ გაგიკვირდებათ) ჩვენს სათაყვანებელ მგოსანს აკაკი წერეთელს. აი, რას წერს იგი თავის სტატიაში: „უბრალო საუბარი". (1898წ). „... მეგრელი კილო ჩამორჩენილი ქართულია, მაგრამ მიუხედავად ამისა, სამაგიეროდ იგივე მეგრული დღეს სალაროა ნამდვილი ქართული სიტყვების". შენიშვნა: თუ მეგრული ჩამორჩენილი კილოა, როგორ შეიძლება ჩამორჩენილი კილო სალარო იყოს ქართული სიტყვების?! ან სად გაგონილა კილო ავსებდეს ენას?! ან, როგორ განვიხილოთ აკაკის სიტყვებიდან გამომდინარე უდიდესი ეგრისის სამეფოს მდიდარი მეფე ქუჯი ჩამორჩენილ კილოზე საუბრობდა და ღარიბი ფარნავაზი სადარბაისლო ქართულზე"?! ნუთუ ვერავინ ხედავს, რომ რეალური ისტორიის აშკარა გაყალბებასთან გვაქვს საქმე, რომელმაც უკვე გამოიღო მკვეთრად უარყოფითი შედეგები, რაც დიდად დამაზიანებელია ჩვენი ერთობისთვის. მინდა მათ გასაგონად განვაცხადო: ვინც, დღესაც ჩვენი წინარე ისტორიის გაყალბებით არის დაკავებული, -ჩვენ, მეგრულ-ლაზური და სვანურენოვანი მოსახლეობა, მკაცრად ვიცავთ საქართველოს ერთიანობას, მაგრამ ნამდვილად ვერ შევეგუებით ჩვენი წარსული ისტორიის გაყალბებას, რომელსაც თქვენ ჩვენთან ერთად უნდა იცავდეთ და აღმერთებდეთ.

3. ასევე ყურადსაღებია მროველის მიერ ჩამოთვლილ ენათა შორის, პირველს არაქართულს, არამედ სომხურს ახსენებს. შეიძლლება ვინმეს ეს წვრილმანად მოეჩვენოს, მაგრამ ის, რაც ჩვენ, მუდამ წვრილმანად და არაყურადსაღებად გვეჩვენებოდა, იქ მტერს დიდი ვერაგობა ჰქონდა ჩადებული, რაც ჩვენდა საუბედუროდ,არაერთხელ უდიდესი დაცემით დასრულებულა.

4. მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო ქართველი მეცნიერის, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის ისტორიულ-მემატიანურ მხარდაჭერაზე მროველისადმი. იგი თავის წიგნში: „აფსირტედან გამსახურდიამდე, ანუ აწმყოს უდაბნოში" დიდი სიყვარულით აღნიშნავს, აღნიშნული ენების გავრცელების თაობაზე. ტ. ფუტკარაძეს მოჰყავს მროველის მიერ ფარნავაზის დროინდელი ენები, რომელთა გვერდით არ ასახელებს მეგრულს: „ქართული ენის კილოკავების მსგავსად, მეგრულს მაშინაც მხოლოდ „საოჯახო ენის სტატუსი ჰქონდა" თურმე ნუ იტყვით, მროველი - ფუტკარაძის ცნობით ყველაფერი პირიქით ყოფილა- მდიდარი ქუჯი ღარიბი ყოფილა, ხოლო ღარიბი, განდევნილი ფარნავაზი კი-მდიდარი.

აქედან გამომდინარე, საფუძვლიან ეჭვს ბადებს ფარნავაზის და ქუჯის შეხვედრისა და ქუჯის მიერ სახელმწიფო მართვის სისტემის ფარნავაზზე გადაცემის საკითხი, რაც მროველის თქმულიდან არს გამომდინარე, რომელიც ძირეულ გამოკვლევას მოითხოვს.- რა მოხდა 24 საუკუნის წინ, ვინაიდან, ფარნავაზიდან მოყოლებული დღემდე საერთოდ მიჩქმალულია მეგრულ-ლაზურ-სვანური ენები, მათი განსაკუთრებული როლი ათასწლეულების მანძილზე კოლხეთის სამეფოს ჩამოყალიბება-გაძლიერებაში (ყველა მიმართულებით) ყოველივე ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ საუკუნეების განმავლობაში ბატონებულთა მიერ მომდინარეობდა აზრი იბერიულ-კოლხური ცივილიზაციის წინააღმდეგ რომ არ განმჟღავნებულიყო მათ მიერ ჩადენილი უამრავი ცოდვების საიდუმლოებანი, რომლის მამხილებელი არს ენაი ლაზური.

იოანე ზოსიმეს ძეგლის „ქებაი და დიდებაი ლაზურისა ენისაი"-ს თანახმად, ყოველი საიდუმლო, რაც სამყაროში არსებობს დღემდე ლაზურ ანბანშია, რომელიც პრეისტორიულ ხანაში მოგვთა ენა იყო, პირველადი მისტერიების ენა, ღმერთთან ურთიერთობის ენა. ამიტომ ითვლება იგი პირველად ენად, რასაც ასე საგულდაგულოდ ჩქმალავენ და აკნინებენ დღემდე სემიტური და ქამიტური მოდგმის მამამთავრები. (კაცობრიობის მტრები).

მიხაკო წერეთელმა, „რომელმაც გილგამეშიანი" თარგმნა, შექმნილია 1500 წლით ადრე, ვიდრე „ძვ. აღთქმა", სადაც წარღვნა სრულად „გილგამეშიანიდან" არის გადაწერილი, რომელიც 4 ენაზეა დაწერილი - ხეთური, აქადური, შუმერული და ხურიტული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კვალი იბერიულ-კოლხური რასის მითოგრაფოსებისკენ მიდის, რომელთა სახელებმა, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოაღწია. უკვე ცნობილია ყოველივე ამის მიზეზი უკვე ცნობილია, ოღონდ, მუდმივად არ მასვენებს ერთი კითხვა: „რატომ კეთდება ეს ყველაფერი ქართველის ხელით? რომელიც ასე დაუნდობლად ებრძვის, ჩქმალავს ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულს, მის პირველ კულტურას- ენა ლაზურს, რომელითაც ნებისმიერი სხვა თავმოყვარე ერი დიდად იამაყებდა და არნახულ მითებსა და ლეგენდებს შექმნიდნენ. რატომ კეთდება ეს საშინელებანი თქვენი ხელით! რატომ ასე დუჟმორეულნი ებრძვით საკუთარ წარსულს, თუ ეს არ არის თქვენი წინარე ისტორია,ისიც განაცხადეთ და სიძულვილის მიზეზიც მიაყოლეთ, (მროველი გასაგებია, მას, როგორც ეპისკოპოსს შეუტანია განსაკუთრებული წვლილი ჩვენი ერის ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებაში, რასაც მოწმობს მისი ე. წ. მოღვაწეობა).

მიუხედავად ამისა, ყველა გამყალბებელს შევახსენებ ძვ. აღთქმას დანიელ წინასწარმეტყველზე, ღმერთის გამოცხადებას, ღმერთმა უთხრა დანიელს: (რომელიც „ქალდეველი" იყო) „მეორედ მოსვლისას შენი ხალხი გადარჩება". მოდით განვიხილოთ ვისი შთამომავალია დანიელ წინასწარმეტყველი. პირველი და მთავარი უნდა განვმარტოთ „ქალდეას" ეტიმოლოგია, რომელი ენა არის მისი მშობლიური, (შემქმნელი) ენა, რომ დავასკვნათ ვისი შთამომავალია დანიელ წინასწარმეტყრლი.

მეცნიერთა თითქმის უმეტესი ნაწილი ქალდის უკავშირებს სემიტურს, თუმც მცნება „ქალდის" სემიტები თავის ენაზე ვერ განმარტავენ, ვინაიდან მისი მშობლიური ენა არის მეგრულ-ლაზური, რომელიც ასე განიმარტება „ქა" ძვ. მეგრულ-ლაზური სიტყაა და ქართულად ნიშნავს „რქას". რაც ღთვიური მეფის გვირგვინზე მიუთითებს. „ლ" ასო ნიშნავს: „ლაზს", ხოლო „დია" კი ძვ. მეგრულადიდან ქართულად ნიშნავს „დედას", რაც გვირგვინოსანი ლაზი დედაა (ქალღმერთი). აქედან გამომდინარე, დანიელ წინასწარმეტყველი არა სემიტური წარმოშობის იყო, არამედ ქალდეური, რომელიც იყო ლაზი ქურუმი.

და ბოლოს დავეშვათ დედამიწაზე. დიდ ბრიტანეთში ეთნიკური უმცირესობის 100-ზე მეტი ენა არსებობს, ( საუბარია არ არის დიალექტზე, კილოკავზე, ჩამორჩენილ ან კიდევ საოჯახო ენაზე), რომელსაც დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოებრიობის განვითარებისათვის ხელი არ შეუშლია, სადაც სახელმწიფო ენა ინგლისურია.

საფრანგეთში რამდენიმე ენაა: ბასკური, ბრეტონული, კატალონიური, კორსიკული, ფლამინდრიული და ოქსიტანური, რომელსაც საფრანგეთის დიდებისთვის ხელი არ შეუშლია, პირიქით, უფრო მეტი შეჰმატა და გააძლერა, სადაც ასევე სახელმწიფო ენაა ფრანგული.

ჩინეთში, ჩინური ნაციონალური ენა იყო. ფეოდალური ჩინეთისათვის ძველი სალიტერატურო ენა ვენიანი იყო. შემდეგ ვენიანი შეიცვალა ბაიხუათი. ბაიხუა ის ძირითადი ენაა, რომლის საფუძველზე განვითარდა ჩინური ხალხის თანამედროვე ნაციონალური სალიტერატურო ენა, რომელიც დიდხანს გრძელდებოდა, ჩინელი მეცნიერები 8 ძირითად ენას გამოყოფდნენ ჩინეთის სახელმწიფოს განვითარებაში, რომელმაც ხელი შეუწყო ჩინეთის მაღალგანვითარებულ სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, და მის განსაკუთრებულ გავლენას დღევანდელ მსოფლიოზე. რაც ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენთან ყველაფერი საპირისპიროდ ხდება,(საკუთარ თვისტომთა მიერ). ამიტომ, ვერადა ვერ გავიმართეთ წელში, ვკარგავთ ძირძველ კუთხეებს, ისტორიულ ძეგლებს, წინარე ისტორიას, (კიდევ როგორ მოვედით დღემდე) გამეფებულია კუთხეთა მიმართ არნახული სიძულვილი, მაშინ, როდესაც ჩვენს წინაპრებს, ღვთის მადლით, სიყვარულით შეუქმნია უდიდესი ცივილიზაცია, რომელსაც თქვენ ასე დაუნდობლად და მიზანმიმართულად ებრძვით.

მაგრამ უფალი დიდია და თქვენ, ვაი ქართველებო! გაგიჭირდებათ უფლის საზეპურო ერისთვის დეზის კვრა, რამეთუ საქართველო ლაზარეა, უფლის საყვარელი მეგობარი, რომელსაც უფალი აღადგენს აღდგომის წინა დღეს.

12 ივნისი, 2019წ,

**ნიკოლოზ იბერი**

---

### ნაცარმიყრილი ისტორია

# მართლდება თუ არა მე-19 და მე-20 საუკუნის მეცნიერთა ვარაუდები კოლხურ კულტურასთან დაკავშირებით

*კოლხეთის ისტორია, სრულიად საქართველოს საგანძურია და მას შესწავლა და პროპაგანდა სჭირდება. უნიკალური მეგრული ენა და ათასწლეულების წინანდელი დამწერლობა, ასევე, მსოფლიოს საკუთრებაა, რამეთუ ბევრ საიდუმლოს ინახავს. სამწუხაროდ, ზოგიერთი მეცნიერი ვიწრო კუთხური გადასახედიდან უყურებს ამ საკითხს, მათ ვურჩევდით ყური დაუგდონ დიდ, ცნობილ ქართველებს, რასაც აქვე გთავაზობთ:*




**ივანე ჯავახიშვილი:** „ქართველი ხალხის უძველესი ხანის კულტურის შესწავლა უეჭველყოფს, რომ ქართველებს ქრისტეს წინათაც მრავალი საუკუნისგანმავლობაში მწერლობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ შესაძლებელია, შემდეგ გამოირკვეს, რომ ამ ხანის მწერლობის ენა ქართლურ შტოს კი არ ეკუთვნის, არამედ მეგრულ-ლაზურ შტოს".

**ნიკო მარი:** „მხედრული დამოუკიდებელი დამწერლობაა, რომელსაც ფესვები ღრმა წარსულში აქვს".

**ილია ჭავჭავაძე:** „თუ მეგრელი ხარ, ე.ი. ყველაზე დიდი ქართველი ხარ, იმიტომ რომ კოლხეთის სამეფო იყო პირველი კოლხური წარმონაქმნი. მაშინ როდესაც არ არსებობდა, ერთი კრებითი სახელი ქართველთა საქართველო!"

აკაკი წერეთელი: „აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-სპარსული, თურქული შემოუღია. რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხირება და გულსა სწყინს და მეგრულ ენაში კი შენახულან ობოლ მარგალიტებად ის ძველი სიტყვები,ჩვენ ვურჩევდით ჩვენ მწერალ-მწიგნობრებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილი სიტყვებით შეივსონ დღეს შელახული ქართული ლექსიკონი". შევნიშნავთ რომ აკაკი შანიძის მიხედვით თანამედროვე ქართული ენის ლექსიკის 36% მეგრული წარმოშობისაა, 64 %-კი ბარბარიზმებს შეიცავს.

1861 წელს პარიზის ე. წ. მეცნიერთა საზოგადოებამ გააკეთა განცხადება, რომ 23 საუკუნოვანი კვლევა ენის წარმოშობის შესახებ უშედეგოდ დასრულებულია და ენის წარმოშობის ისტორიის აღდგენა შეუძლებელია. ხოლო 1886 წელს პეტერბურგის ენათმეცნიერთა საზოგადოებამ აკრძალა კოლხური ენის შემდგომი კვლევა უცნობი მიზეზით.

ჩვენი თანამედროვე ქართველი მეცნიერი, წალენჯიხელი **მამანტი ძაძამია** (თანაავტორებთან ერთად) არ დაემორჩილა მსოფლიოში გაბატონებულ დოგმებს და მეგრული ენის (კომპიუტერული ვერსიით ლექსიკური მარაგი მოიცავს 1 მლიარდ 4870 მილიონ სიტყვას) ლექსიკის ყოველმხრივი კვლევა-ძიების საფუძველზე (კვლევა მიმდინარეობდა უკანასკნელ 4 ათეული წლის განმავლობაში) ენის წარმოშობის საკითხს საფუძვლად დაედო ხმაბაძვითობის თეორია.

მათემატიკოსმა **გია კვაშილავამ** კი მეგრულ ენაზე გაშიფრა 100წლის განმავლობაში გაუშიფრავი 1907 წლის კუნძულ კრეტაძე ნაპოვნი უძველესი 3800წლის ფირფიტა - ფესტოსის დისკო, სადაც მოცემულია და იკითხება საგალობელი დიდი დედისადმი-ნენასადმი. თბილისის შემდეგ განხილვა წარმოადგინა ფოთში 2012 წლის მაისში კოლხური კულტურის მუზეუმში.

საქართველოში 1980 წელს აღინიშნა ქართული ანბანის 1500 წლისთავი, დიდი ალბათობით ამ ასაკის გადასინჯვის დრო დადგება იმ არქეოლოგიურ გათხრების შედეგად, რომელიც 2015 წლიდან დაიწყო თბილისიდან 50 კმ-ში კასპთან ახლოს, სადაც აღმოჩენილია 3000 წლის პირველი ანბანური დამწერლობა -(მხედრულიც და ასომთავრულიც) და გრაკლიანის წარწერითაა ცნობილი.

მაიამის ბეტა ლაბორატორიამ გრაკლიანის წარწერა ძვლი წელთაღრიცხვის XI-X საუკუნეებს მიანიჭა.

ამჟამად გრაკლიანის წარწერა გაშიფრულია აგრეთვე მეგრულ ენაზე: „ქიანა მიყორს" (ქვეყანა მიყვარს) მკვლევარ კუკური ფიფიას მიერ.

კლასიკური მეცნიერების დოგმატიური ხასიათი ცნობილია ჯორდანო ბრუნოს და უფრო ადრინდელი პერიოდებიდანაც. ჭეშმარიტი მეცნიერების ტიტანური შრომა ფასდება შედეგებით. ჩვენ მადლობა უნდა ვუთხრათ გერმანელ, ამერიკელ,პოლონელ ქართველ და სხვა ქვეყნების მეცნიერებს კოლხური კულტურის კვლევისათვის თუნდაც 5 ათასი წლის საყდრისისმსოფლიოში პირველი ოქროს საბადოს-კოლხური კულტურის ძეგლად აღიარება რად ღირს...

**„ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი**

**ფოთის პენსიონერთა თავშესაფარი „ბებიას" თავმჯდომარე**

**ჯ. ჯემელახია**

ადამიანი დროში

# ნუგზარ ნაჭყებია -70
## სიმღერაა მთელი ჩემი ცხოვრება
### კარგი მომღერალი, თამადა, ერთგული და უღალატო კაცი



ფოლკლორი მარადიული ფენომენია, მუდამ თანამედროვე და მომავლის კუთვნილება. ცნობილი ლოტბარი და მომღერალი ბატონი **ნუგზარ ნაჭყებია** ნახევარ საუკუნეზე მეტია ხალხურ მარგალიტებს აგროვებს და მომავალ თაობებს გადასცემს, როგორც დიდ საგანძურს ჩვენი ერისა. ამიტომაა იგი დიდი კაცი, დიდი მომღერალი მისეული განუმეორებელი ხმის ჟღერადობით, რომელიც გიპყრობს აღგაფრთოვანებს, განგაწყობს, სიამაყით გავსებს , შენი ხალხის ისტორიას გახსენებს, რომ მისი ნაწილი ხარ, გენეტიკური უსასრულობისა და მარადიულობის ნაწილი. ვინ არ მოხიბლულა მის მიერ შესრულებული ,,მრავალმჟამიერით", ,,ოჩეჩხვეით," ჩელათი. მაყრულით, ნადურით, აფხაზური ვარადოთი, რომელსაც დღესაც ახალგაზრდუყლი შემართებით ასრულებს. იგი ქართული ფოლკლორის ეთნოგრაფიული უნიკალურობის და უკვდავების სულისკვეთებას აღვივებს უძველესი და ახალი ხალხური სიმღერების სცენაზე გადატანით. მას უმღერია ცნობილი ლოტბარების **მიხეილ ხავთასის, არჩილ ხორავას და შოთა აბრალავას** გუნდებში. ეს სიმღერები სახელმწიფოს ოქროს ფონდშია შეტანილი.

ნუგზარ ნაჭყებია დაიბადა მარტვილის რაიონის სოფელ დიდ ჭყონში 1948 წლის 20 ივნისს. მუსიკალური განათლება ფოთის მუსიკალურ სასწავლებელში მიიღო. აქვე დაიწყო მისი 25 წლიანი პედაგოგიური საქმიანობა.

ამასთანავე,როგორც ნიჭიერი მომრერალი იყო ქალაქის სხვადასხვა მუსიკალური ანსამბლის და ჯგუფების წევრი. პირველი წარმატება გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში მოიპოვა, როდესაც პოპულარულ სატელევიზიო კონკურსში ,,ჩვენ ვეძებთ ტალანტებს" ქუთაისში გამართული ზონალური ტურის გამარჯვებული გახდა საქალაქო კულტურის სახლის ვოკალური კვარტეტის შემადგენლობაში ზურაბ და ნუგზარ დადიანებთან და ავთო აბურჯანიასთან ერთად. ახალგაზრდულ წლებში უფრო საესტრადო ჟანრით იყო დაკავებული. შემდეგ კი მუსიკალური ხელოვნების სხვა ჟანრებში მოღვაწეობდა დიდი წარმატებით.

მან დიდი სიყვარული დაიმსახურა, როგორც მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების ფოთის ვაჟთა ვოკალური ანსამბლის წევრმა და სოლისტმა. რომელსაც ცნობილი ლოტბარი არჩილ ხორავა ხელმძღვანელობდა. წლების შემდეგ კი იგი ამ კოლექტივის ხელმძღვანელი იყო.

მოგვიანებით ჩამოაყალიბა და წარმატებიით ხელმძღვანელობდა ფოთის წისქვილქარხნის თვითმოქმედი ანსამბლ ,,თავთავს, რომელთან ერთად მონაწილეობდა საქალაქო, რესპუბლიკურ და საკავშირო ღონისძიებებში.

25 წელი გახლდათ ფოთის №2 საშუალო სკოლის მოსწავლეთა გუნდის ლოტბარი და დირიჟორი. ამ კოლექტივმა არაერთ სასკოლო ოლიმპიადებში მოიპოვა გამარჯვებები.

სხვადასხვა პერიოდში წარმატებით მუშაობდა ჩხოროწყუს რაიონის სასოფლო კლუბებსა და სასკოლო გუნდებში.

დაარსების დღიდან არის ცნობილი ანსამბლ ,,ფაზისის" წევრი და სოლისტი, რომელთან ერთადაც მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ ღონისძიებაში, როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე უცხოეთში (გერმანია, იტალია, უნგრეთი, ბულგარეთი, სლოვენია, თურქეთი.)

ნუგზარ ნაჭყებიას ჰყავს ერთადერთი ქალიშვილი ეკა, რომელიც ოჯახთან ერთად ამჟამად ცხოვრობს მოსკოვში.

ნუგზარი ორი შვილიშვილის არაჩვეულებრივი ბაბუაა. გივიკო კუჭავა არის მოსკოვის ერთ-ერთი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი, ნინი კი მე-10 კლასის მოსწავლეა.

ნუგზარ ნაჭყებია დაჯილდოებულია არაერთი დიპლომით, სიგელით, არის მრავალი ფესტივალის, კონკურსის, სასკოლო ოლიმპიადების ღონისძიებების, კონცერტების მონაწილე, მოპოვებული აქვს ლაურეატის წოდებები.

ნუგზარ ნაჭყებია არის ფოთის საპატიო მოქალაქე. როგორც თავად ამბობს, ეს მისთვის ყველაზე დიდი ჯილდოა.

ბატონი ნუგზარი ერთგული და უღალატო, სულით ლამაზი კაცია, შესანიშნავი მამა და მეუღლე, ბრწყინვალე მეგობარი. მისი სახით შეიძლება ყველაზე კარგი ადამიანი გყავდეს მეგობარად. მოკრძალებულად ვესიყვარულებით ბატონ ნუგზარს, ვულოცავთ იუბილეს და ვუსურვებთ კვლავ დიდხანს ევლოს ფოთის ქუჩებში, ასეთი ერთგულებით და სიკეთით- თქვა ძველ მეგობარზე მაბატონმა **სოსო გვაძაბიამ**.



დიდი და მრავალფეროვანია იუბილარის 70 წლიანი გადასახედი. ნუგზარ ნაჭყებოიას ცხოვრების გზა სიმღერის გზაა, ეს მას მიესადაგება გამოთქმა სიმღერაა მთელი ჩემი ცხოვრება. ამ სიმღერასია განივთებული ღვთისა და კაცის სადიდებელი, ესაა ერთი დიდი საგალობელი ქვეყნისადმი, ერისადმი, მშობლიური ფაზისისადმი. ბატონმა ნუგზარმა თაობები აღზარდა სიმღერის სიყვარულით და მათ ნორჩ ფაზისელებს სიმღერის შთამომავლებს ეძახის. მღერის და ამ სიმღერით ეფერება ყველას, თითქოს ,,გული გაგზავნა ქვეყნადა", ამ სიმღერაშია ქართველი კაცის ცხოვრების გზა, ნიჭი და გენია, იგი ჰიმნია სიცოცხლისადმი, ღვთისადმი,

დრო აყალიბებს პიროვნების ხასიათს, ხატავს მის პორტრეტს, 70 გაზაფხულმა გაიელვა, წლები, როგორც სიმდიდრე ისე მიითვალა ამ მართლაც ღვთისნიერმა კაცმა, რომლისთვისაც ყველაზე დიდი სიმდიდრე ადამიანებთან ურთიერთობაა.

,,თასით ღვინო და ალალი მეგობარი, რას ინატრებს კაცი ამის უკეთესს!"-. აი, მისის ცხოვრების კრედო-სიყვარული გზად და ხიდად.

ქართული სუფრა აკადემია არისო - ნათქვამია, ქორწილი ხომ დიდი სპექტაკლია, ლამაზი დღესასწაულია, ვინ მოთვლის რამდენი ასეთი სუფრის თამადა ყოფილა, ენაწყლიანი, პოეზიით და იუმორით სავსე კაცი. სადღეგრძელოებს სიმღერით რომ აგვირგვინებს, რის გამოც ოვაციები არასდროს დაკლებია. სამწუხაროდ, სუფრას მეგობრები შემოაკლდა, რასაც ძალიან განიცდის ,,კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი". მათთვის მუდამ სავსეა ხსოვნის ჭიქა და ისინიც თითქოს ეხმიანებიან:

,,იალაღს ვიყავ ბიჭებო,
მზე წითლად ამოდიოდა,
მე იქ რა გამაჩერებდა
თქვენი ხმა არ მამდიოდა.

ადამიანები უკვდავები არავართ, უკვდავი ჩვენი კაცობა და საქმეები

,,დროს მიაქვს ყველა ძველი
ჩვენი კაცობის გარდა". ჩვენო ძმაო და მეგობარო, შენი საგზალიც ეს არის ღვთიურ გზაზე. იხარე და იდღეგრძელე, მრავალჟამიერ შენი სადღეგრძელო შენი სიმღერა.დაე ბევრჯერ გეთქვას პოეტის სიტყვები: ,,ვლოცავ დღეს ჩემი გაჩენის, ბედნიერი ვარ მე!"

ზ აბრალავა.

## 1 ივნისს ბავშვთა დაცვის დღე აღინიშნა
### ფოთში პირველად გაკეთდა კაუჩუკის საფარის მქონე ბავშვთა გასართობი მოედანი და შუქურის ფორმის ქუჩის ბიბლიოთეკა



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, აქციის ფარგლებში ფოთში, ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში დასაქმებული ადამიანიების ინიციატივითა და ძალისხმევით, 8 აგვისტოს მემორიალის მიმდებარედ, გასართობი სკვერი მოგვეწყო. პირველად ფოთში გაკეთდა კაუჩუკის საფარის მქონე ბავშვთა გასართობი მოედანი და შუქურის ფორმის ქუჩის ბიბლიოთეკა.

სკვერი ბავშვთა დაცვის დღეს, ქალაქის მერმა გოჩა კურდღელიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი კაკულიამ, ბანკების წარმომადგენლებთან და ბავშვებთან ერთად გახსნეს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია დიდ მადლობას უხდის სს თიბისი ბანკის, სს საქართველოს ბანკის, სს ტერა ბანკის, სს კრედო ბანკის, სს ლიბერთი ბანკის, სს ვითიბი ბანკის, სს ფინკა ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის, რიკოს, ფემილი კრედიტის, ენსი გლობალის დირექტორებს და თითოეულ თანამშრომელს.

## ფოთის ყოფილი ჰიდრო-მელიორაციული ტექნიკუმის შენობის რეაბილიტაციის პროექტირებაზე ელექტრონული ტენდერი დასრულდა.



ფოთში, წმინდა გიორგის 24-ში მდებარე, ყოფილი ჰიდრო-მელიორაციული ტექნიკუმის შენობის რეაბილიტაციის პროექტის მომზადებაზე შპს „საქართველოს ტექნიკური ჯგუფი" იმუშავებს.

კომპანია ელექტრონული ტენდერის შედეგად იქნა გამოვლენილი, რომელიც შენობის რეაბილიტაციის საინჟინრო-საპროექტო მომსახურების შესყიდვის მოთხოვნით ჩატარდა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „საქართველოს ტექნიკურ ჯგუფს" შორის ხელშეკრულება უკვე გაფორმდა. საპროექტო მომსახურება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსდება.

1938 წელს, საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციით აგებულ შენობაში, რომელიც გასული საუკუნის 30-იანი წლების არქიტექტურულ ნიმუშს წარმოადგენს, საზღვაო აკადემია განთავსდება. შეთანხმებას ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტსა და უმაღლეს სასწავლებელს შორის, უკვე მოეწერა ხელი.

## ფოთში შინმოვლის პროგრამა ხორციელდება



შინმოვლის მომსახურება, რომელიც მეოთხე წელია ხორციელდება ფოთში, სამედიცინო და სოციალური სერვისების საცხოვრებელ ადგილზე მიწოდებას გულისხმობს.

მზრუნველობა მოკლებულ პირებს შინ მიეწოდებათ საექიმო, სოციალური და საყოფაცხოვრებო მომსახურეობა. ეს არის მკურნალობა და მონიტორინგი, სამედიცინო მანიპულაციები და სარეაბილიტაციო ღონისძიებები, მორალურ-ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, დახმარება გარემოში ადაპტირებისათვის. მიმდინარე წელს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი აღნიშნულ მომსახურებას 25 ბენეფიციარს უწევს.

# სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი

## ზურაბ სარსანიას სახელობის ტურნირის გახსნა



ფოთში ზურაბ სარსანიას სახელობის ტურნირი დაიწყო, რომელშიც 2005-2006 წლებში დაბადებული მოკრივეები იღებენ მონაწილეობას. სპორტსმენებს შორის არიან თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ზუგდიდის, ხობის, მარტვილის, ჭიათურის, მესტიის, ტყიბულის, საჩხერის, ზესტაფონის, ახალქალაქის, გურჯაანის, ჩხოროწყუს, სენაკის, გარდაბანის, საგარეჯოს, ყვარელის, ახალციხის, გორის, ოზურგეთის და ფოთის ნაკრები გუნდები. ტურნირი საზეიმოდ გახსნა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ მამუკა პაპასკირმა და მონაწილეებს წარმატებები უსურვა. ზურაბ სარსანიას სახელობის ტურნირის გამარჯვებულები 9 ივნისს გამოვლინდება

## აკადემიური ნიჩბოსნობა



მიმდინარე წლის 15-16 ივნისს მდინარე რიონზე ჩატარდა ომარ ბერაიას სახელობის რეგატა აკადემიურ ნიჩბოსნობაში, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ: თბილისის, ქუთაისის, მცხეთის, აბაშის, კოლხი-2016-ის, ფოთის სპორტულ კლუბ ,,მალთაყვის'' და ფოთის აკადემიური სასპორტო სკოლების ნიჩბოსანთა ნაკრები გუნდები.

1X-1000 მ. დისტანცია, 2004-2005 წ.წ. დაბადებული ვაჟები
II ადგილი - გიორგი გვასალია
1X-500 მ. დისტანცია 2000 მ. და ზევით გოგონები
II ადგილი - თამარ მიქაძე - სანიჩბოსნო სპორტული კლუბი ,,მალთაყვა''
III ადგილი - ანი ფაჩულია
1X-500 მ. დისტანცია, 2004-2005 წ.წ. დაბადებული გოგონები
III ადგილი - ნინო თოიძე
1X-500 მ. დისტანცია, 2006-2007 წ.წ. დაბადებული ვაჟები
III ადგილი - გიორგი მიმინოშვილი
2X-1000 მ. დისტანცია, 2001-2003 წ.წ. დაბადებული ვაჟები
III ადგილი - ამიკო მარგალიტაძე, გიორგი გვასალია
2X-500 მ. დისტანცია, 2004-2005 წ.წ. გოგონები
II ადგილი - ნინო თოიძე, ანი ფაჩულია
2X-500 მ. დისტანცია, 2006-2007 წ.წ. ვაჟები
III ადგილი - ნიკიტა გაჯიევი, საბა ოკუჯავა

## სიყვარული ზეციურ სასუფეველში გრძელდება
## ელენე თურქიას და გიორგი როყვას ხსოვნას

,,რა იცი კაცი სად წაიქცევი, თორემ იმ გზაზე სულ არ გაივლი”...



სიცოცხლე ერთხელ ეძლევა ადამიანს, ამიტომ ყველაზე დიდი სიმდიდრეა- სულის, სიყვარულის საწყისი, ყველაფრის ძალა და უნარი მისგამ მოდის-სიცოცხლეა შვილები, შვილიშვილები, იყო ქორწილები, ჯვრისწერა, დღეობები და დღესასწაულები.

რა ბედნიერი იყო იმ საბედისწერო შემთხვევამდე დიდი სპორტსმენის-მსოფლიო ჩემპიონის მურთაზ და ინდირა თურქიების ოჯახი.

ბევრს გახსოვთ ლამაზი, მოუსვენარი პატარა გოგო, დედის მარჯვენა ხელი-ელენე, თავის დედმამიშვილებზე მზრუნველი, მუდამ მხიარული, თბილი და მოსიყვარულე.

დრო მართლაც სწრაფად გავიდა-სიყვარული ეწვია და ელენე კარგ ვაჟკაცზეც, გიორგი როყვაზე დაქორწინდა, თუმცა, ქორწილს ვერ მოესწრო, ავტოავარიამ მასთან ერთად იმსხვერპლა, მეუღლის, მაზლისა და ახლობლის სიცოცხლე. ეს ტრაგედია ერთი ოჯახის ფარგლებს სცდება, ეს ყველა ოჯახის ტრაგედიაა - სიცოცხლე გაიყინა, სიცოცხლის ძაფი გაწყდა, აღარ გაგრძელდება. აღარ მოდიან შვილები, რომელთა ზეციურ საუფლოში გადაიტანეს ჯვრისწერა და ბედნიერება, შორს წაიღეს სიხარული და ხალისი.

მშობლებისთვის ეს უეცარი გრადაცია, დიდი ტრაგედიაა, ადამიანურ ზღვარს სცილდება. გაუსაძლისია ტკივილი, რატომ? რისთვის? ერთადერთი იმედი უფალია, რომ მათ სულებს დაუმკვიდრებს მარადიულ სასუფეველს.

აქ დაწყებული სიყვარულის ისტორია ზეციურ საუფლოში გრძელდება. არადა, როგორ ერთგულებით, ერთი აზრით შეიკრა ორი ახალგაზრდის გული-რწმენით, ხალისით, ხვალინდელი დღის იმედით, მაშინ, როცა ცხოვრებასაც აზრი აქვს, შრომასაც, მაგრამ ასე არ მოხდა-სიცოცხლე გაჩერდა.

ადამიანის ბედისწერა ამოუცნობია, წუთისოფელი დაუნდობელია და უფრო მეტი ტკივილი მოაქვს, ვინემ სიხარული.

ისევ სინანული ჩნდება- ,,რა იცი კაცი სად წაიქცევი, თორემ იმ გზაზე სულ არ გაივლი”...

სხვა არა დაგვრჩენია - ,,ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი მივაშველოთ და ვეცადოთ უკვდავვყოთ ერთმანეთის სული”...

ღმერთმა ზეციურ საუფლოში მარადიული სიყვარულით გააბრწყინოს მათი დიდებული სულები.

**ახლობლები**

## ხსოვნა
## ლედორ ბათლომეს ძე თავაძე



ფოთელ სპორტსმენთა რიგებს წლების განმავლობაში ამშვენებდა ლედორ თავაძის სახელი.

ბატონი ლედორ თავაძე დაიბადა 1929 წლის 31 მაისს ქ. ფოთში. 1947 წელს დაამთავრა ფოთის რკინიგზის საშუალო სკოლა. 1948 წელს მოეწყო და 1952 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი. 1952 წლიდან მუშაობდა ქ. ფოთის სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ და კრივის სექციის მწვრთნელად. 1976 წლიდან ამავე სპორტული სკოლის დირექტორია. 1982 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება კრივში. არჩეული იყო საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდიუმის უცვლელ წევრად. მინიჭებული ქონდა რესპუბლიკის კატეგორიის მსაჯის წოდება კრივში და ნიჩბოსნობაში. დაჯილდოებული იყო საქ. ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის და საქ. განათლების სამინისტროს სიგელებითა და დიპლომებით.

ლედორ თავაძეს დიდი წვლილი მიუძღვის ფოთში კრივის განვითარების საქმეში. მისი მიზანი იყო ფოთი ექცია კრივის მექად და მან ეს შეძლო. მისი აღზრდილები წარმატებით მიყვებოდნენ მის გაკვალულ გზას. ტარიელ ვერულაშვილს, გოგლა ბახტაძეს, სოსო ცომაიას, სოზარ კულუას, იგორ მატკავას თვალნათლივ ეტყობოდათ ლედორი თავაძის სკოლის საფირმო დამღა.

ფოთელი მწვრთნელების მონდომებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ისინი საპრიზო ადგილებს ფლობდნენ საკავშირო თუ მსოფლიო არენაზე. ლედორი თავაძის დროს მოპოვებული წარმატებები არ ახსოვს ქართული სპორტის და განსაკუთრებით კრივის ისტორიას. რამოდენიმე ათეული წელი მზადდებოდა ტრიუმფალური ფინიში, რასაც სტარტი პრიმიტიულ, კეთილმოუწყობელ დარბაზში მიეცა.

ლედორი თავაძეს იმთავითვე სწორი პოზიცია ეკავა. მას მკაცრი, მაგრამ სწორი განაჩენი გამოქონდა მოკრივეებისათვის. მოითხოვდა სიახლეთა ძიებას წვრთნაში, ტალანტების აღმოჩენაში. მწვრთნელთა თავდადებას.

სწორედ ასეთი დარჩა იგი ფოთელთა ხსოვნაში და უპრიანი იქნება სწორედ ლედორი თავაძის სახელი მიენიჭოს კრივის სპორტულ სკოლას.

## გია დგებუაძის ხსოვნას
## დაბადების 41-ე წელი-უშენოდ



შვილის დაბადება და ამქვეყნად მოვლინება სამყაროს დაბადების ტოლფასია. სიცოცხლის გაგრძელებაა და სიკვდილსაც ამით ვებრძვით. მაგრამ ასე არ მოხდა, 41- გაზაფხულზე შეწყდა მისი სიცოცხლე. გამწარებული მშობლები დგანან შვილის საფლავის ზღრუბლთან და ქვაში ჩაკირულ სურათს ეფერებიან. ბოლო წუთამდე დრაჩა მშობლების, ახლობლების, მეგობრების უსაზღვროდ მოყვარული. ყოველი დღე ახალისებდა ად მიუხედავად ავადმყოფობისა, სიცოცხლის ხალისი არასდროს ტოვებდა, ოჯახიც ახალი შექმნილი ჰქონდა და მომავლის გეგმებით ცხოვრობდა.

28 მაისს მის გარეშე აღნიშნეს დაბადების დღე, არადა, როგორ გაიხარებდა მეგობრების და ახლბლების სტუმრობით. უკან დარჩა ნახევრად განვლილი გზა და სინანული-ნუთუ საფლავისთვის გავჩნდით ამქვეყნად

სრულიად ახალგაზრდა კაცი წავიდა ამ მართლაც წუთიუსოფლიდან, მან ახალი საუკუნის, ახალი თაობის მძიმე და რთული გზა გაიარა. ფოთელი ახალგაზრდის ყველა თვისება ბოლომდე ატარა, ამიტომაც უყვარდა იგი თანატოლებს, უფროს თაობას, რომელთა მიმართ განსაკუთრებულ სითბოსა და სიყვარულს გამოხატავდა.

ყველაზე დიდი ტკივილი შვილის ნაადრევი წასვლით მშობლებმა განიცადეს. ცხოვრება ტკივილით აევსოთ და სიბერე გაუმწარდათ ვალტერ და იზოლდა დგებუაძეებს. უკან დარჩა შვილის დაბადებით გამოწვეული სიხარული, ბავშვობა, ფიქრი მის მომავალზე. სკოლა და შვილის მეგობრებთან გატარებული ლამაზი დღეები. ბევრი იმედი და ოცნება უკავშირდებოდა გიას, იყო დაოჯახება, დიდებული მეუღლე ნანა მხეიძე, ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა, თუმცა დაუნდობელი ყოფილა სიკვდილი. მოულოდნელად დაანგრია სიყვარულის თანავარსკვლავედი. გლოვობენ მას ერთადერთი და ნანა დგებუაძე, სიძე ირაკლი ჭანტურია და დისშვილები. გლოვობენ ბიძები რომან სანაია, მოსკოვში მოღვაწე ფოთელი, რომელიც ყოველმხრივ ეცადა დახმარებას სნეულების დასამარცხებლად. ასევე განიცდის დისშვილის გარდაცვალებას ბიძა როლანდ სანაია და დეიდა თამრიკო სანაია, მამიდა ნათელა დგებუაძე.

დაბადების დღეს საფლავთან მივლენ მეგობრები, რომელთანაც გაატარა სიცოცხლის საუკეთესო წლები. თავსზემოთ ძალა არ არის, სხვა რა დაგვრჩენია - ჭიქა ღვინო და საფლავთან მიტანილი ყვავილები.

**მეგობრები**

**გაზეთის ამ ნომრის სპონსორია ქალაქის სარიტუალო ცენტრის დირექტორი ვახტანგ გოგიშვილი. დიდი მადლობა მას!**

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში“
E-mail: k.khobalia@gmail.com
რედაქტორი ზ. აბრალავა